წლიური ანგარიში 2021

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

წლიური ანგარიში 2021

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ნინო ჩიხლაძე, ხათუნა ყვირალაშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

© საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2021

სარჩევი

მისასალმებელი სიტყვა 4

ვინ ვართ და რას ვაკეთებთ 8

ადამიანის უფლებები 9

- თანასწორობის პოლიტიკა 11
- სოციალური პოლიტიკა 16
- სისხლის სამართლის მართლმსაჯულება 24
- მედიის/გამოხატვის თავისუფლება 29
- სხვა აქტივობები 31

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა 35

- საპარლამენტო კონტროლი 36
- მართლმსაჯულების რეფორმა 37
- საჯარო მმართველობა 41
- ადგილობრივი თვითმმართველობა 44
- არჩევნები 45

სამართლებრივი დახმარება 51

- იურიდიული დახმარება 52
- სტრატეგიული სამართალწარმოება 63
- აღსრულების მექანიზმების გამოყენება 73
- გამოცემები 74

ფინანსური ანგარიში 79

dვირფასო საიელებო,

ჩემთვის უდიდესი პატივია, პირველად მოგესალმოთ საიას თავმჯდომარის სტატუსით. იმავდროულად, ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რომელიც, 27 წელზე მეტია, იბრძვის ადამიანის უფლებებისთვის, დემოკრატიისთვის და დღემდე რჩება ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლად.

2021 წელი ქვეყნისთვის გამორჩეულად რთული აღმოჩნდა. 2020-ის მსგავსად, წელსაც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო COVID-19-ის პანდემია. ამის მიუხედავად, შევძელით ჩვენი საქმიანობის სათანადოდ ორგანიზება, რათა გვეზრუნა დემოკრატიული პროცესების გაჯანსაღებასა და მოსახლეობისთვის ძალიან საჭირო, უფასო სამართლებრივი დახმარების მიწოდებაზე. ეს წელი დატვირთული იყო როგორც მასშტაბური პოლიტიკური მოვლენებით, ისე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებით. თუმცა, საიას შესანიშნავი გუნდის დამსახურებით, მოვახერხეთ, რომ არსებულ სირთულეებს სათანადოდ გავმკლავებოდით.

ამ წელმა განსაკუთრებით განამტკიცა საიასა და ქვეყნის საერთაშორისო პარტნიორების ურთიერთობა, რამაც ჩვენი თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადაიყვანა. უმნიშვნელოვანესი იყო ორგანიზაციის წვლილი პოლიტიკური კრიზისის გადასაჭრელად მედიაციის პროცესსა და მის წარმატებით განვითარებაში. სამწუხაროდ, უაღრესად პოლარიზებულმა პოლიტიკურმა გარემომ თავისი შედეგი გამოიღო და მიღწეული შეთანხმება მმართველი პარტიის მხრიდან ანულირებით დასრულდა. ამას ქვეყანაში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური პროცესები მოჰყვა. თუმცა, ამ ურთულესი ვითარების პარალელურად, ვაგრძელებთ მუშაობას ქვეყნისთვის აუცილებელი გამოსავლის მონახვისა და მისი ადვოკატირებისთვის.

19 აპრილს პოლიტიკურ პარტიებს შორის გაფორმებული შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო საარჩევნო კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ფუნდამენტური რეფორმები. გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, საარჩევნო სისტემა, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი ჯერ კიდევ შორსაა სასურველისგან. შესაბამისად, საია აგრძელებს მათ ადვოკატირებას. განსაკუთრებულ პრობლემად გამოიკვეთა მართლმსაჯულების რეფორმის აუცილებლობა, რომლის თაობაზეც ხელისუფლებას ჩვენი საერთაშორისო პარტნიორები არაერთგზის მიუთითებდნენ. ამ თემების შესახებ საერთაშორისო დონეზე მსჯელობის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი წვლილი სწორედ საიას მიუძღვის.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დასრულ-

და 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სახელმწიფოებს შორის დავა, რომლის ფარგლებშიც ინდივიდუალური საქმეების მაღალკვალიფიციურად მომზადებასა და წარმატებით წარმართვაში საიამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

საიას სავიზიტო ბარათი - იურიდიული დახმარების ცენტრი, პანდემიური ვითარების გამო, ძირითადად, დისტანციურად ფუნქციონირებს და სამართლებრივი პრობლემების მქონე ათასობით ადამიანს მათ გადაჭრაში ეხმარება. ასევე წარმატებით საქმიანობს ჩვენი საკონსტიტუციო სამართალწარმოების გუნდი, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი საქმე მოიგო საკონსტიტუციო სასამართლოში და კვლავაც აგრძელებს მიმართვებს ახალ საქმეებთან დაკავშირებით.

გარემოს დაცვის საკითხებზე სახელმწიფოს დამოკიდებულების პრობლემურობა განსაკუთრებით გამოიკვეთა მდინარე რიონზე ნამოხვანჰესის კასკადის მშენებლობასა და ამის პარალელურად მიმდინარე პროტესტთან დაკავშირებით. საია აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში და აგრძელებს ბრძოლას გარემოს დაცვის კუთხით სამართლიანი პროცედურებისა და გადაწყვეტილებებისთვის.

განსაკუთრებით მძიმე იყო 5 ივლისის მოვლენები, რომლებმაც საქართველო დემოკრატიული განვითარების გზაზე მნიშვნელოვნად უკან დახია. აღმაშფოთებელი იყო მედიის წარმომადგენლებისა და აქტივისტების მიმართ გამოვლენილი ძალადობის ფაქტები, ასევე - ხელისუფლების ნაბიჯები, რომლებიც, ერთი მხრივ, ახალისებდა მოძალადეთა ქმედებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობდა მათ გამართლებას. საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს დღემდე არ უწარმოებია ამ შემთხვევების ეფექტიანი გამოძიება.

პოლიტიკური ვნებათაღელვის პარალელურად, ვაგრძელებთ ორგანიზაციული რეფორმის პროცესს და ვცდილობთ, გადავჭრათ ის საკითხები, რომლებიც თან ახლავს რეფორმის პრაქტიკულ იმპლემენტაციას. წინ კიდევ ბევრი გამოწვევაა, რომლებსაც, გვჯერა, გავუმკლავდებით. გვაქვს ასევე გეგმები, რომ ჩვენი საქმიანობა კიდევ უფრო მეტად წარმატებული გავხადოთ.

მინდა, საიას ყველა თანამშრომელს დიდი მადლობა გადავუხადო გაწეული ბრწყინვალე სამუშაოსთვის და იმისთვის, რომ მაქვს შესაძლებლობა, ვიყო შესანიშნავი გუნდის ხელმძღვანელი. ჩვენი თანამშრომლების დაუღალავი შრომის, ენთუზიაზმისა და გათენებული ღამეების შედეგია ის, რომ თითქმის სამი ათწლეული წლის შემდეგაც საია ქვეყნის წამყვან სამოქალაქო ორგანიზაციათა შორისაა. რა თქმა უნდა, მადლობა საიას გამგეობის წევრებს, რომელთა წვლილიც ფასდაუდებელია ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებაში, ასევე, მადლობა საიას წევრებს თანადგომისთვის. ორგანიზაციას და თითოეულ თქვენგანს გისურვებთ წარმატებებს ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის გაზრდისა და ადამიანის უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში.

პატივისცემით,

ნიკოლოზ სიმონიშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

2014 წელი
ზუგდიდი
1996 წელი
ქუთაისი
2001 წელი
ოზურგეთი
1995 წელი
ბათუმი

საიას ოფისების დაარსების წლები:

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თბილისის ოფისი -1994 წელი
აჭარის ფილიალი -1995 წელი
რუსთავის ოფისი - 1995 წელი
ქუთაისის ფილიალი -1996 წელი
გორის ოფისი - 2000 წელი
ოზურგეთის ოფისი - 2001 წელი
თელავის ოფისი - 2002 წელი
დუშეთის ოფისი - 2002 წელი
ზუგდიდის ოფისი - 2014 წელი



ვინ ვართ და რას ვაკეთებთ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელიც დაახლოებით 400 წევრს აერთიანებს. საია 1994 წელს დაფუძნდა და მას შემდეგ თანდათან აფართოებს სამოქმედო არეალს. დღეისთვის ორგანიზაცია 9 ოფისის მეშვეობით მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ოპერირებს. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში.

ორგანიზაციის ზრდასთან ერთად წარმოიშვა სტრუქტურული ცვლილებების საჭიროება, რათა საიას საქმიანობის სტანდარტი შესაბამისობაში მოსულიყო დონორების ახალ მოთხოვნებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის (CSO) ეკოსისტემის ცვლილებებთან. 2016 წელს, საქართველოში USAID-ის ადამიანური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების HICD 2020 პროექტის მხარდაჭერით, საიას საქმიანობა შეფასდა ადამიანური და ინსტიტუციური განვითარების კუთხით. შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები და უკვე 2018 წლიდან დაიგეგმა რეფორმის ორი ფაზა. პირველი ფაზა მოიცავს ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო მეორე – საკადრო პოლიტიკის დახვეწას, რეგიონული ოფისების განვითარებისა და კომუნიკაციის სტრატეგიების შემუშავებას.

სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების კოორდინაციის უფლებამოსილება გადაეცა ადმინისტრაციულ დირექტორს, ხოლო პროექტულ საქმიანობას საია სამი პროგრამული მიმართულების ფარგლებში ახორციელებს. ეს პროგრამებია:

- **ადამიანის უფლებების დაცვა**
- **დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა**
- **სამართლებრივი დახმარება**

საიაში რეფორმის პროცესი შემდეგ საანგარიშო წელსაც გაგრძელდება.

ამჯერად კი, წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საიას თბილისისა და 8 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2021 წლის ანგარიშს.

საანგარიშო პერიოდი: 2020 წლის 1-ლი ნოემბერი – 2021 წლის 1-ლი ნოემბერი.

1

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული ამოცანაა. ორგანიზაცია სწავლობს ამ კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას, აანალიზებს გამოწვევებს და ხელს უწყობს ცვლილებებს პოლიტიკის დონეზე.

ადამიანის უფლებების დაცვის პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- **თანასწორობის პოლიტიკა**
- **სოციალური პოლიტიკა**
- **სისხლის სამართლის მართლმსაჯულება**
- **მედია**

თანასწორობის პოლიტიკა

მოწყვლადი ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და ამ კუთხით საქართველოში არსებული სიტუაციის შეფასება კვლავ რჩება საიას ერთ-ერთ ძირითად აქტივობად. პანდემიამ და მისგან გამომდინარე შეზღუდვებმა კონკრეტული პირები კიდევ უფრო რთული გამოწვევების წინაშე დააყენა.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ ფარგლებში მომზადდა რიგით მეხუთე ანგარიში „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში“. გამოცემა აღწერს ამ მიმართულებით 10 ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას 2020 წლის განმავლობაში.

საანგარიშო პერიოდში საია დამოუკიდებლად ან/და კოალიციურად ავრცელებდა განცხადებებს კონკრეტული ჯგუფების უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. ქვემოთ მიმოხილულია ის სისტემური პრობლემები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით გამოიკვეთა.

ქალები

საქართველომ ბოლო წლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, ქალთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად და ძალადობისგან მათ დასაცავად არაერთი ღონისძიება გაატარა. მიუხედავად წინგადადგმული ნაბიჯებისა, კვლავ პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის საკითხი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან სხვადასხვა ასპექტით მუშაობის გაძლიერებას საჭიროებს.

ქალები და გოგონები ხშირად ხდებიან ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების, სექსუალური ძალადობის, ფემიციდის, იძულებითი ქორწინების, იძულებითი აბორტის მსხვერპლები. სახელმწიფოს მიერ გაწეული ძალისხმევის, სამართალდამცავთა მრავალწლიანი გადამზადების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ქალთა მიმართ ჩადენილი, განსაკუთრებით, სქესობრივი დანაშაულების დროული და ეფექტიანი გამოძიება. ამგვარ ფაქტებზე მართლმსაჯულება ხშირად მოძველებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობს, რაც, საბოლოოდ, მსხვერპლებს უქმნის ბარიერებს მასზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა კვლევა „იძულებითი ქორწინება, კანონმდებლობა და პრაქტიკა“. დოკუმენტის მიხედვით, 2016-2019 წლებში იძულებითი ქორწინების ფაქტებზე გამოძიების დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, ქვემო ქართლში გამოვლინდა. ხშირია ნიშნობის იძულების შემთხვევებიც. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გააძლიეროს პრევენციული მუშაობა ნაადრევი და იძულებითი ქორწინების აღსაკვეთად. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სწორედ წინასწარი ზომების მიღებაა ამგვარი ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი გზა. ქორწინების მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დაწესება, განათლების მაქსიმალური ხელმისაწვდომობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ქორწინების იძულების თავიდან არიდების მნიშვნელოვანი ბერკეტებია.

ბავშვები

ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით სახელმწიფო კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე დგას. ქვეყანაში, წლებია, ბავშვები დაუცველნი არიან სიღარიბისა და იმ საფრთხეებისგან, რომლებიც მათი ცხოვრების არასათანადო პირობებიდან გამომდინარეობს. პანდემიის გამო შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო, ეს რისკები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა, რაც სოციალურად დაუცველ და ქუჩაში მცხოვრებ ბავშვებზეც აისახა.

მნიშვნელოვანი გამოწვევებია განათლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობის თვალსაზრისითაც. კომპიუტერული მოწყობილობებისა და ინტერნეტის არქონამ პანდემიის დროს ბავშვებს განათლებაზე ხელმისაწვდომობა შეუზღუდა.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით საყურადღებოა ის რისკები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობას უკავშირდება. მომსახურებათა გარკვეული ნაწილის დისტანციურ რეჟიმში გადასვლის გამო, გართულებულია ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა იდენტიფიცირება. იმავდროულად, საფრთხე ექმნება მხარდამჭერი პროგრამებისა და სერვისების ეფექტიან განხორციელებას. გამოწვევად რჩება დიდი ზომის დაწესებულებების სრულყოფილი ჩანაცვლება ზრუნვის ალტერნატიული ფორმებით.

შშმ პირები

პანდემიამ განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. საიამ ამ საკითხთან დაკავშირებით მოამზადა კვლევა „Covid-19 და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები“. დოკუმენტი მიზნად ისახავდა პანდემიის პირობებში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების, ამ მიმართულებით შემუშავებული საერთაშორისო რეკომენდაციებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლას, აგრეთვე შშმ პირთა პრობლემების იდენტიფიცირებას. კვლევაში გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, კონსულტაციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, ჯანმრთელობის უფლება და სამედიცინო სერვისებზე

წვდომა, საკვებით, მედიკამენტებითა და დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა, ასევე ფინანსური მხარდაჭერა, განათლება, დასაქმება და ა.შ.

საიას მიერ მომზადებული კიდევ ერთი დოკუმენტი შეეხება მუნიციპალურ დონეზე შშმ ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ სოციალურ პროგრამებს. გამოიკვეთა, რომ ეს პროგრამები ხშირად არ არის სათანადოდ დაგეგმილი და არ ითვალისწინებს ბენეფიციართა რეალურ მოთხოვნილებებს. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები კი, ძირითადად, მოკლევადიან პერიოდზეა გათვლილი და არასაკმარისია შშმ ბავშვთა მდგომარეობის უკეთესობისკენ შესაცვლელად.

დევნილები

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა დოკუმენტი პანდემიის დროს დევნილთა წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. გამოიკვეთა, რომ კოვიდ-19-ის გავრცელების შემდეგ მათი ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა. ფოკუსჯგუფის მონაწილეთა ინფორმაციით, დევნილ ოჯახებში, ძირითადად, მხოლოდ ერთი წევრია დასაქმებული, რომელთა დიდი ნაწილი მომსახურების სფეროში მუშაობს. ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და ბიზნესსაქმიანობის შეჩერების გამო, ისინი შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩნენ.

გარდა ამისა, დევნილთა ნაწილს ამ დრომდე არ მიუღია საცხოვრებელი ფართი, ან ცალკეულ დასახლებებში მათთვის გადაცემული ბინები არ შეესაბამება სათანადო საცხოვრებლის მინიმალურ სტანდარტს.

რელიგიური ჯგუფები

კვლავ აქტუალურია საქართველოში რელიგიისა და რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები. კანონმდებლობაში რჩება თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგო დისკრიმინაციული ნორმები.

კოვიდ-19-ის პანდემიამ ამ კუთხით არსებული არაერთი სისტემური პრობლემა წარმოაჩინა. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო რელიგიისა და რწმენის თავისუფლების დაცვა, უგულებელყო რელიგიურ გაერთიანებებს შორის თანასწორობა და რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოუკიდებლობა.

ეთნიკური უმცირესობები

მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები არ შეხებია იმ სისტემურ გამოწვევებს, რომლებიც საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვისა და ინტეგრაციის მიმართულებით არსებობდა. პანდემიამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა მათი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ინფორმაციაზე წვდომის არქონა, ენობრივი ბარიერები, ხარისხიანი განათლების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები, საზოგადოებაში არსებული ქსენოფობიური განწყობების მკვეთრი მატება.

საანგარიშო პერიოდში საიამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, იმუშავა პლატფორმა „სალამის“ ინიციატივაზე და მოამზადა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების გვარებიდან არაავთენტური დაბოლოებების (ოვ, ევ და სხვა) ჩამოშორებას და საკუთარი ავთენტური გვარის დაბოლოებათა დაბრუნების უფლების მინიჭებას.

ლგბტქი პირები

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში ლგბტქი პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. ეს თემი ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი და განსაკუთრებულად დაუცველია სტიგმისა და ძალადობისგან.

ლგბტქი პირები თავისუფლად ვერ სარგებლობენ შეკრებისა და გამოხატვის შესაძლებლობით, აწყდებიან დისკრიმინაციულ ბარიერებს, მათ შორის, შრომით ურთიერთობებში. მომეტებული საფრთხის ქვეშ იმყოფებიან ტრანსგენდერი ადამიანები, რომელთა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება ხშირად ირღვევა. არსებულ პრობლემებს 2020 წლის მარტიდან პანდემიით გამოწვეული სირთულეები

დაემატა და თემის მოწყვლადობა კიდევ უფრო გაიზარდა. თუმცა, მათი სოციალური და ეკონომიკური საჭიროებები მთავრობის ანტიკრიზისულ გეგმაში არც პირველ და არც შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებული არ ყოფილა.

ამ პრობლემის უმძიმესი გამოხატულება იყო 2021 წლის 5 ივლისი, როდესაც ჰომოფობიურმა, ულტრამემარჯვენე აგრესიულმა ჯგუფებმა „თბილისი პრაიდის“ მიერ ორგანიზებული „ღირსების მარში“ ჩაშალეს. ეს ჯგუფები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა ძალადობრივი გაერთიანების მოწოდების საფუძველზე, „ღირსების მარშის“ გაუქმების მოთხოვნით, შეიჭრნენ და დაარბიეს მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისი, სადაც ღონისძიების ორგანიზატორები იმყოფებოდნენ. ასევე, აივნიდან გადაძვრნენ „თბილისი პრაიდის“ ოფისში, დაარბიეს ის, დახიეს ლგბტქი დროშა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ჟურნალისტებს.

სოციალური პოლიტიკა

შრომის კანონმდებლობა

საია აქტიურად არის ჩართული ღირსეული შრომის პლატფორმის საქმიანობაში, რომელიც აერთიანებს დამოუკიდებელ პროფესიულ კავშირებს, ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებსა და აქტივისტებს. პლატფორმის მონაწილეებმა საანგარიშო პერიოდში გაავრცელეს არაერთი განცხადება, რომლებიც

შეეხებოდა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ადამიანების - ექთნების, სოციალური მუშაკების, კურიერების, მეტროში მომუშავე და სხვა პირების უფლებრივ მდგომარეობას Covid-19-ით გამოწვეული სირთულეების ფონზე.

შრომითი უფლებების დაცვისა და ადვოკატირების მიზნით, ღირსეული შრომის პლატფორმის ფარგლებში შეიქმნა სპეციალური ონლაინ რესურსები: შრომის უსაფრთხოების მონიტორი, მოპარული ხელფასის გამომთვლელი და ვებგვერდი „იცოდე შენი უფლებები“.

შრომის უსაფრთხოების მონიტორი არის ონლაინ ბაზა, რომელიც ერთ სივრცეში აგროვებს საქართველოს შრომის ინსპექციის მიერ დასაქმების ადგილების შემოწმების შესახებ ანგარიშებს. შესაბამისად, დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა, თვალი ადევნონ შრომის უსაფრთხოების ინსპექტირების პროცესს.



მოპარული ხელფასის გამომთვლელი იძლევა შესაძლებლობას, დასაქმებულმა გამოიანგარიშოს იმ თანხის ოდენობა, რომელიც დამსაქმებელმა უკანონოდ მიითვისა აუნაზღაურებელი ზეგანაკვეთური შრომის, ხელფასის უსამართლო დაქვითვის, გადაუხდელი ფეხის ქირისა თუ სხვა ქმედებების შედეგად.

ვებგვერდი „იცოდე შენი უფლებები“ მარტივად და ყველასთვის გასაგები ენით პასუხობს შრომის უფლებებთან დაკავშირებით ხშირად დასმულ კითხვებს. ის მოიცავს ისეთ აქტუალურ თემებს, როგორებიცაა: თანასწორობა შრომაში, სამუშაო დრო, მშრომელი ქალები, ანაზღაურება, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები, პროფესიული კავშირები და შრომითი უფლებების დაცვის მექანიზმები (საქართველოს შრომის ინსპექცია, საქართველოს სახალხო დამცველი და საერთო სასამართლოები).

საანგარიშო პერიოდში საქართველოს შრომის კოდექსში შესული ცვლილებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით საიამ მოამზადა საინფორმაციო ბუკლეტი დასაქმებულთა და დამსაქმებელთა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. დოკუმენტი ასევე ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გავრცელდა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: შრომითი დისკრიმინაცია; სამუშაო დრო, ხანგრძლივობა და დადგენილი შეზღუდვები; სტაჟირების წესი; ქალთა უფლებრივი მდგომარეობა; გაფიცვა; შრომითი ხელშეკრულების დადების, შეწყვეტის, გასაჩივრებისა და უფლების დაცვის მექანიზმები. გარდა ამისა, ბუკლეტში განხილულია შრომის ინსპექციის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი, პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაწევრიანების საკითხები. ასევე, საიამ შრომის ინსპექციის უფლებამოსილებების, დეკრეტული შვებულების, გაფიცვის რეგულირებისა და გამოცდილების თაობაზე მოამზადა ვიდეორგოლები, რომლებიც განთავსდა ორგანიზაციის ვებგვერდსა და სოციალურ პლატფორმებზე.

საანგარიშო პერიოდში საიამ გამოაქვეყნა პროფესიული კავშირების შესახებ ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია

პროფკავშირების ფუნქციებისა და უფლებების შესახებ ზოგადი საერთაშორისო სტანდარტები, აგრეთვე შვედეთის, გერმანიისა და ლიეტუვის მოდელები. გარდა ამისა, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია კოლექტიურ მოლაპარაკებასა და გაფიცვასთან დაკავშირებულ ნორმებზე, ასევე შიდა რეგულაციებზე.



საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, საიამ შეისწავლა პანდემიის გავლენა სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებზე, რამაც ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა. ორგანიზაციის მიერ მომზადებულ დოკუმენტში აღწერილია ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, გაანალიზებულია გლობალური პარტნიორობის ქსელის რეკომენდაციები და სხვა ქვეყნების მიერ ამ პრობლემასთან გამკლავების თვალსაზრისით არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები.

განათლების უფლება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ მომზადდა კვლევა, რომელიც მიმოიხილავს ზოგადი განათლების სისტემაში სასკოლო სახელმძღვანელოების შემუშავებისა და შეფასების პოლიტიკას თანასწორობის მიღწევისა და ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონტექსტში. კვლევის ფარგლებში გაანალიზებული ინფორმაციების საფუძველზე, გაიცა რეკომენდაციები სახელმწიფოს შესაბამისი უწყებებისთვის.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიცა სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორების საჭიროებების კვლევა. იდენტიფიცირებული გამოწვევების ანალიზმა ცხადყო, რომ თანასწორობის პრინციპებთან სახელმძღვანელოების შესაბამისობის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მათი შექმნის პროცესში სათანადო ინვესტირება, ავტორების მომზადება, მათი კომპეტენციისა და მოტივაციის გაზრდა.

საიას მოსაზრებები კანონპროექტზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

საანგარიშო პერიოდში საიამ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე საკუთარი მოსაზრებები ჩამოაყალიბა. კანონპროექტით შემოთავაზებულია ინსტიტუციური გარდაქმნა, რომლის თანახმად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემავალი გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი გადავა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში და სწორედ მასზე მოხდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის აღსრულების უფლებამოსილების დელეგირება. მიზეზები, რომლებიც ამ მოდიფიცირების საფუძვლად არის მითითებული, დაუსაბუთებელია და არ არის საკმარისი ამგვარი ინსტიტუციური ცვლილებისთვის.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით, სუბიექტებს, რომლებსაც მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების უფლების მისაღებად სამინისტროსთვის უნდა მიემართათ 2019 წლის 1-ლ ივნისამდე, ეს ვალდებულება გადაუვადდებათ 2022 წლის 1-ლ იანვრამდე. კანონპროექტი აფართოებს ამ სუბიექტთა წრესაც. შემოთავაზებული ცვლილებების საფუძვლად განმარტებით ბარათში არ არის მითითებული არცერთი ობიექტური გარემოება და დასაბუთება, შესაბამისად, საია მათ უარყოფითად აფასებს.

მოდიფიცირება შეეხება ასევე სკრინინგის პროცედურას, გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანას და კოდექსის დანართებით განსაზღვრულ საქმიანობებს, რომელთა ნაწილიც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი საჭიროებს აუცილებელ გამოსწორებას და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს/დაზუსტებებს.

წინასამედიაციო პროცესი ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში საია ჩართული იყო ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებულ წინასამედიაციო პროცესში, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობასა და, მეორე მხრივ, ადგილობრივ მოსახლეობასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. მედიატორის როლს ევროკავშირის ენერგეტიკული გაერთიანების წარმომადგენელი დირკ ბუშლე ასრულებდა. 2021 წლის 12 ივნისს მხარეებს შორის გაიმართა პირველი შეხვედრა, რომელსაც საიაც ესწრებოდა. მონაწილეები სამ ძირითად საკითხზე შეთანხმდნენ:

1. რიონის ხეობაში პროტესტის მონაწილეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეუზღუდავად ისარგებლონ თავისუფალი გადაადგილების, შეკრებისა და მანიფესტაციების კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით;

2. დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ექსპერტმა უნდა შეაფასოს პროექტის ფარგლებში გარემოზე ზემოქმედების შესახებ წარდგენილი დოკუმენტი, ასევე ნამოხვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების ხელშეკრულება; გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან ასარიდებლად შეფასების დასრულებამდე სამშენებლო სამუშაოები უნდა შეჩერდეს;

3. საქართველოს მთავრობამ არასამთავრობო სექტორისა და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობით უნდა შეიმუშაოს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების გეგმა.

მიღწეული შეთანხმების შესრულებისა და მედიაციის პროცესის დასაწყებად განსაზღვრული წინაპირობების დაკმაყოფილების მიზნით კიდევ არაერთი შეხვედრა ჩატარდა, რომლებშიც საია აქტიურად იყო ჩართული. გარდა ამისა, 2021 წლის 30 მაისს ორგანიზაციამ კომუნიკაცია გაუგზავნა გაეროს სპეციალურ მომხსენებელს მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებზე. დოკუმენტში აღწერილია ნამოხვანის ჰესების კასკადის პროექტთან დაკავშირებული პრობლემები, საქართველოს კონსტიტუციითა და ორჰუსის კონვენციით გარანტირებული პროცედურული უფლებების დარღვევის შემთხვევები, ამ პროექტის წინააღმდეგ გამართულ აქციებში მონაწილე პირთა შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონკრეტული ფაქტები.

გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებების შესახებ ბროშურა

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა ბროშურა გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებების შესახებ. დოკუმენტის მიზანი ამ საკითხზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. მასში დეტალურად არის განმარტებული საქართველოს კონ-სტიტუციითა და ორჰუსის კონვენციით გარანტირებული სამი ძირითადი პროცედურული უფლება, რომლებიც ადამიანებს ჯანსაღ გარემოზე წვდომისა და სხვა დაკავშირებული სიკეთეებით ეფექტიანი სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. კონკრეტულად, ბროშურა მიმოიხილავს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, ასევე ინფორმაციასა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლებებს.

მართლმსაჯულება

სისხლის სამართლის პროცესების ოთხწლიანი მონიტორინგის შედეგები



საიას მიერ მომზადებული „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ოთხწლიანი ანგარიშის“ მიზანია პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, მათ შორის, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირება. ანგარიში ასახავს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს 2016 წლის მარტიდან 2020 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში.

ძირითადი მიგნებები შეეხება აღკვეთის ღონისძიებებს, საგამოძიებო მოქმედებებსა და საპროცესო შეთანხმებაზე სათანადო სასამართლო კონტროლს, პროცესის სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილ ხარვეზებს. ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოჯახურ, ნარკოტიკულ და სოციალური ფონით განპირობებულ დანაშაულებს.

ოთხწლიანი ანგარიშის მნიშვნელოვანი მიგნებები უკავშირდება მძიმე სოციალური ფონით განპირობებულ დანაშაულებს. მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ბრალდების ორგანოები და სასამართლო სათანადო გულისხმიერებით არ ეკიდებიან ამგვარ საქმეებს. მათი რეაგირება უფრო მეტად ორიენტირებულია ბრალდებულთა დასჯაზე და არა - მათ შემდგომ რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე.

მონიტორინგი ყოველწლიურად ავლენს საზოგადოებისთვის ნაკლებად საშიშ არაერთ ქმედებას, რომლებზეც სასამართლოს შეეძლო უფრო ჰუმანური პოლიტიკის გატარება, მაგალითად, მცირე მნიშვნელობის საფუძვლით (სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით), საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმა ან წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. თავის მხრივ, დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საპროცესო კოდექსის მიხედვით, პროკურორსაც შეუძლია, ასეთ დროს უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე, ან მიმართოს დევნის ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას, რომელიც გამორიცხავს პირის ნასამართლობას. თუმცა, არაერთ საქმეზე ბრალდების მხარემ ასევე არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის მე-15 ანგარიში

2021 წელს საიამ გამოაქვეყნა „სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №15“. ეს არის პირველი ერთწლიანი გამოცემა, რომელშიც შეფასებულია თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და ზუგდიდისა და თელავის რაიონულ სასამართლოებში მიმდინარე სხდომებზე Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გავლენა.



ანგარიშში, ერთი მხრივ, ასახულია დამსწრე პირთა გარეშე მიმდინარე სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები, ხოლო, მეორე მხრივ, შეფასებულია დისტანციური სამართალწარმოების დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, ასევე გამოტანილი გადაწყვეტილებების

შესაბამისობა კანონმდებლობასთან. იმავდროულად, გაანალიზებულია ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც Covid-19-ის პანდემიამ სასამართლო, პროცესის მონაწილეები და პენიტენციური დაწესებულებები დააყენა.

საიას მიერ მომზადებული ეს სერიული გამოცემები არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშშია გამოყენებული და მითითებული, როგორც ინფორმაციის სანდო წყარო საქართველოში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საიამ მონაწილეობა მიიღო ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ შეხვედრაში სასამართლო პროცესების მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანიზაციებს შორის. ამ შეხვედრების მიზანი ეუთოს სადამკვირვებლო მისიებისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მსგავსი პროფილის წარმომადგენლობების გამოცდილების გაზიარებაა.

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის სახელმძღვანელო



საიამ საანგარიშო პერიოდში მოამზადა სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. დოკუმენტი განკუთვნილია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში ჩართული ნებისმიერი სუბიექტის, ორგანოსა თუ პრაქტიკოსი სპეციალისტისთვის, რომელიც მონაწილეობს ან გეგმავს, ჩაერთოს სასამართლოს მონიტორინგში.

სისხლის სამართლის პროცესებს საია 2011 წლიდან აკვირდება. ის არის საქართველოში პირველი და ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც წინასწარ შემუშავებული, პროფესიონალურად გამართული რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების მეშვეობით აკვირდება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას და საჯაროდ წარმოადგენს მონიტორინგის შედეგებს.

სახელმძღვანელო აერთიანებს სისხლის სამართლის საქმეებზე დაკვირვების მეთოდოლოგიასა და მონიტორინგის პროექტის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს. დოკუმენტი აღწერს მართლმსაჯულების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და მათი გადაჭრის გზების ძიების მთელ სისტემას, ყველა იმ ინსტრუმენტსა და საშუალებას, რომელთა შედეგადაც საბოლოოდ ფორმირდება მონიტორინგის ანგარიშები. მასში წარმოდგენილია პროექტისთვის კითხვარების შემუშავების სტანდარტები, სისხლის სამართლის საქმეებზე დაკვირვების სპეციფიკა, ძირითადი შეზღუდვები, მონიტორების საქმიანობა, ანგარიშების მომზადებისა და მათი ადვოკატირების მეთოდოლოგია. სახელმძღვანელოს თან ახლავს პროცესის შესაბამისი ეტაპების კითხვარები.

საიას მოსაზრებები 2021 წლის 11 იანვრის ამნისტიასთან დაკავშირებით

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად მონაწილეობდა საკომიტეტო მოსმენებში „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტსა და მის თანმდევ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ორგანიზაციამ ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები წარადგინა. მან დადებითად შეაფასა შემოთავაზებული კანონპროექტი, რომელიც ეფუძნებოდა ჰუმანიზმის პრინციპს და, სასჯელისგან გათავისუფლების დამატებითი მექანიზმების შექმნის გზით, პირთა გარკვეული კატეგორიის სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესებდა.

კანონპროექტი ძირითადად შეეხებოდა ნარკოტიკული დანაშაულისთვის ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს. წლების განმავლობაში მოქმედი მკაცრი ნარკოპოლიტიკის გათვალისწინებით, ამნისტიის აქტი პოზიტიური ნაბიჯია ამ დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისთვის. თუმცა, პროექტით გათვალისწინებული გარკვეული ასპექტები სათანადო დაზუსტებას საჭიროებდა. მათ შორის იყო: ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის გამო ჩამორთმეული უფლებების აღდგენის საკითხი; გარკვეული ტიპის დანაშაულებთან მიმართებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა თუ სასჯელისგან გათავისუფლებისთვის დაწესებული განსხვავებული წინაპირობები (დაზარალებულის თანხმობა და ზიანის ანაზღაურება); სასჯელისგან გათავისუფლებისას არსებული ჩანაწერი, რომელიც არ ეხებოდა სასჯელის სახეს - ჯარიმას; სამუშაო უსაფრთხოების წესის დარღვევასთან დაკავშირებულ მუხლებზე ამნისტიის გავრცელება და სხვა. საიას მოსაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა.

საიას პოზიცია ჩხრეკა-ამოღების კანონპროექტთან დაკავშირებით

საია აქტიურად ჩაერთო პარლამენტში კიდევ ერთი, ჩხრეკა-ამოღებასთან დაკავშირებული კანონპროექტის საკომიტეტო განხილვის პროცესში. მისი მიზანი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მისადაგება საქართველოს კონსტიტუციასთან.

საიას შეფასებით, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი არ პასუხობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ვერ უზრუნველყოფს არსებული სტრუქტურული და სისტემური ხარვეზების აღმოფხვრას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის 2021 წლის 1-ლი ივლისი დაადგინა. ამით მან საკანონმდებლო

ორგანოს მისცა 6-თვიანი ვადა, რათა მას მკაფიოდ განესაზღვრა სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჩხრეკის სათანადოდ ჩატარების ინსტრუქციები და, იმავდროულად, ამ პერიოდში უწყებები აღეჭურვათ შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით. ამის საპირისპიროდ, შემოთავაზებული ცვლილებით პარლამენტმა მხოლოდ ფორმალურად აღასრულა სასამართლოს გადაწყვეტილება.

მედიის/გამოხატვის თავისუფლება

მედიის თავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის თავისუფალი, უსაფრთხო გარემოს შექმნა უმნიშვნელოვანეს უფლებათაგანია და გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო აქტებით. საანგარიშო პერიოდში გამოხატვის თავისუფლება არაერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა.

2021 წელს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში მედიის უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობა პრობლემური და საყურადღებოა. გახშირებულია ჟურნალისტებზე თავდასხმის, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის, პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის ფაქტები. საგულისხმოა, რომ ამ ფონზე ხელისუფლების რეაგირება არასათანადო და ჟურნალისტების მიმართ სიძულვილის ენის შემცველია. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა 5-6 ივლისს, როდესაც რადიკალურმა და ჰომოფობიურმა ჯგუფებმა მედიის 50-ზე მეტ წარმომადგენელს სხვადასხვა სახის დაზიანებები მიაყენეს, რაც აგრეთვე წახალისებული იყო მაღალი თანამდებობის პირების აგრესიული რიტორი-

კით. სახელმწიფოს პასუხი ძალადობის ფაქტებზე ამჯერადაც არ იყო სათანადო. არაეფექტიანად მიმდინარეობს სამართალწარმოება 5 ივლისის შემთხვევებზე, ასევე დღემდე გამოუძიებელია 2020 წლის 20-21 ივნისის საპროტესტო აქციის დაშლის დროს დაზარალებულ ჟურნალისტთა საქმეები.

საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად იყო ჩართული მედიის სფეროში მიმდინარე პროცესებში. „მედიის ადვოკატირებისთვის“ კოალიციასთან ერთად, ორგანიზაციამ გააკეთა არაერთი საჯარო განცხადება ჟურნალისტების მხარდასაჭერად. ასევე, რამდენჯერმე გამოეხმაურა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრობლემურ ინიციატივებს, მათ შორის, პროგრამის შინაარსის განხილვასა და თვითრეგულირების მცდელობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 5-6 ივლისის მოვლენებზე მომზადდა კვლევა, რომელიც უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. მასში აღწერილია მედიაზე მასშტაბური თავდასხმის წინაპირობები და პრაიდის კვირეულის ფარგლებში განვითარებული პროცესები, აგრეთვე შეფასებულია სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობა პოზიტიური ვალდებულების ჭრილში.

საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ ინიციატივით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრას მედიის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მომხსენებლები იყვნენ როგორც ჟურნალისტები და მედიაკომპანიების ხელმძღვანელები, ისე ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გარდა ამისა, საია მონაწილეობდა საერთაშორისო ონლაინ კონფერენციაში „მედიის უსაფრთხოება და ინფორმ-

აციის ხელმისაწვდომობა არჩევნების დროს", რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს ქართული მედიის წინაშე არსებული გამოწვევები. აგრეთვე, ორგანიზაცია მოხსენებით წარდგა „კოალიცია თანასწორობისთვის" წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე. ამ დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილის - მედიის თავისუფლების თავის მომზადებაში საიამ წამყვანი როლი შეასრულა.

სხვა აქტივობები

ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის დროს

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა და გამოაქვეყნა კვლევა „სუვერენი - „პრემიერი". დოკუმენტი შეეხება საქართველოში კოვიდ-19-ის გავრცელების გამო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას და მის თანამდევ პროცესებს, რომლებსაც ხარვეზების გარეშე არ ჩაუვლია. კვლევაში გაანალიზებულია დეროგაციის ზოგადი სტანდარტები, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პრინციპებიდან გადახვევის მართებულობა. გარდა ამისა, განხილულია საგანგებო მდგომარეობის დროს შეზღუდულ

ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებული გამოწვევები, როგორიცაა: იზოლაციისა და კარანტინის წესების შესაბამისობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან; შეკრების თავისუფლებაზე დაწესებული აკრძალვები; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გარემოს დაცვის საკითხებზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი ბარიერები; პრეზიდენტის დეკრეტით ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობების დაწესება. ამასთან, ცალკე თავი ეძღვნება პარლამენტის კანონშემოქმედებით საქმიანობას საგანგებო მდგომარეობის რეგულირების მიმართულებით.

საერთაშორისო ორგანიზაციებში გამგზავნილი ანგარიშები

საიამ 2021 წელს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წარადგინა ჩრდილოვანი ანგარიშები საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ანგარიში, რომელიც ქალთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული მეინსტრიმინგის სხვადასხვა ასპექტს შეეხება, „კოალიცია თანასწორობისთვის“ და სხვა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს კომიტეტის „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ პრესესიისთვის მომზადდა. მისი მიზანი საქართველოში არსებული ვითარების შესახებ 81-ე სესიის სამუშაო ჯგუფის ინფორმირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაა.

მომზადდა ასევე ჩრდილოვანი ანგარიში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია გაუპატიურებისა და სქესობრივი ძალადობის სხვა ფორმების შესახებ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების შესახებ.

ანგარიშები მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა: ქალთა მიმართ ძალადობა, პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა, განათლების, დასაქმებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ქორწინებასა და საოჯახო ურთიერთობებში მათი უფლებრივი მდგომარეობა და ა.შ.

კიდევ 2 ჩრდილოვანი ანგარიში ორგანიზაციებმა წარუდგინეს ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) განხორციელების მონიტორინგის დამოუკიდებელ საექსპერტო ჯგუფს. ალტერნატიული ანგარიშები ასახავს სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებს. იმავდროულად, ხაზგასმულია ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან გაწეული ძალისხმევა საერთაშორისო სტანდარტებთან კანონმდებლობის დასაახლოებლად. თუმცა, ამის მიუხედავად, ვერ ხერხდება მათი აღსრულება, პროაქტიული რეაგირება და სათანადო პოზიტიური ზომების გატარება. ამასთან, ნაწილობრივ შეუსრულებელია ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების დანერგვის ვალდებულება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დოკუმენტებში აღწერილია გამოწვევები, რომლებიც კვლავ რჩება ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობისა და იმ პრობლემების სახით, რომლებიც ხელს უშლის ქალებსა და მამაკაცებს შორის არსებითი თანასწორობის მიღწევას მდგრადი პატრიარქალური საზოგადოების ფონზე.

საიამ და ორგანიზაციამ „Equality Now“ წარადგინეს ერთობლივი ანგარიში ბავშვთა უფლებების კომიტეტის 90-ე წინასასესიო სამუშაო ჯგუფისთვის. დოკუმენტი მოიცავს ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორებიცაა: სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა, არასრულწლოვანთა სქესობრივი ძალადობის მავნე პრაქტიკა, კერძოდ, მათი ქორწინება, იძულებითი ქორწინება, გატაცება და ა.შ. ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები ამ პრობლემების აღმოფხვრისა და სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე, კომიტეტს მიეწოდა სახელმწიფო უწყებებისთვის დასასმელი შესაბამისი კითხვები ქვეყანაში ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობის სრულყოფილად შესწავლისთვის.

სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგში ადამიანის უფლებების შესახებ

ღია საზოგადოების ფონდთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მომზადდა ანგარიში საქართველოში 2020 წელს ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებული ძირითადი გამოწვევების შესახებ. დოკუმენტში შეფასებულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა; ადამიანის უფლებები საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში; რელიგიისა და რწმენის თავისუფლება; ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა; ქალთა გაძლიერება; ბავშვთა უფლებები; შრომითი უფლებები; წამება და არასათანადო მოპყრობა; სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.

ანგარიში ემსახურება ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დიალოგის ხელშეწყობას, სამოქალაქო საზოგადოების წვლილის გამოკვეთას და რეკომენდაციების შემუშავებას ამ მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 65-ე სესია

საანგარიშო პერიოდში საია მონაწილეობდა გაეროს ქალთა სტატუსის კომისიის 65-ე სესიის ფარგლებში გამართულ ონლაინ დისკუსიაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას მიეძღვნა. საიამ სიტყვით მიმართა დელეგატებს და ამ მიმართულებით ორგანიზაციის მიერ განხორციელებული აქტივობები წარუდგინა.

დელეგატებმა ხაზგასმით ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე ქალთა და გოგონათა გაძლიერების, ძალადობისგან დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვის კუთხით.

დისკუსიის ფარგლებში დელეგატებმა წარმოადგინეს მოქმედებებზე ორიენტირებული რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრას, გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევას და არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას.

2

დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა

ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჩართულობის გარეშე სახელმწიფო ინსტიტუტები ინსტრუმენტად იქცევა პოლიტიკური და კლანური დაჯგუფებების ხელში. ამ პირობებში საჯარო სიკეთე სწორედ მათ კეთილდღეობას ხმარდება, სხვა მოქალაქეების ინტერესები კი უგულებელყოფილია. საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა აგრძელებს იმგვარ რეფორმებზე მუშაობას, რომლებიც ხელს შეუწყობს ინკლუზიური პოლიტიკის შექმნას და მყარ ნიადაგს მოამზადებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისთვის, რათა საქართველოში რეალური, ხალხის საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა ჩამოყალიბდეს.

პროგრამა 5 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- **საპარლამენტო კონტროლი**
- **მართლმსაჯულების რეფორმა**
- **საჯარო მმართველობა**
- **ადგილობრივი თვითმმართველობა**
- **არჩევნები**

საპარლამენტო კონტროლი

საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმების გაძლიერება დემოკრატიული პოლიტიკის ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც ადგილობრივი კონტექსტის, ისე საერთაშორისო გამოცდილების სიღრმისეული გაანალიზება და გაზიარება.

საანგარიშო პერიოდში საია შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით სწავლობდა პარლამენტის საზედამხედველო ინსტრუმენტების ფუნქციონირებას. ასევე ჩართული იყო ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს საქმიანობაში და მონაწილეობდა მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, რაც მოიცავდა რეკომენდაციების გაცემას საპარლამენტო კონტროლის მიმართულებით. ამჟამად ორგანიზაცია ამ გეგმის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს.

2021 წელს საიამ გამოაქვეყნა შედარებითი კვლევა „საპარლამენტო თანამდებობების განაწილება უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის“, რომელიც 15 სახელმწიფოს პარლამენტში თანამდებობების და, შესაბამისად, ძალაუფლების გადანაწილების სხვადასხვაგვარ კომბინაციებს მიმოიხილავს.

მართლმსაჯულების რეფორმა

საია მმართველი კომიტეტის მანდატით მონაწილეობს კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ საქმიანობაში. ორგანიზაცია ჩართული იყო ყველა იმ განცხადებისა და დოკუმენტის მომზადებაში, რომლებიც კოალიციის სახელით 2021 წლის განმავლობაში გამოქვეყნდა.

საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა მნიშვნელოვანი დოკუმენტი „მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში”. მასში შეფასებულია 2013-2021 წლებში ხელისუფლების მიერ სასამართლოს რეფორმირებისთვის არჩეული სტრატეგია, მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები და მათი გავლენა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის ხარისხზე. დოკუმენტში გამოყე-



ნებული ანალიტიკური ჩარჩო ეფუძნება გატარებული რეფორმების კრიტიკულ და კომპლექსურ ანალიზს პოლიტიკურ, ინსტიტუციურ, ისტორიულ გამოცდილებებსა და არსებულ გამოწვევებთან კავშირში.

2012 წლიდან საია ყოველწლიურად აკვირდება და აფასებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობას. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა მონიტორინგის მე-9 ანგარიში. დოკუმენტის მიხედვით, სისტემის მთავარი გამოწვევა კვლავ კლანური მმართველობაა.

ორგანიზაცია მონიტორინგს უწევდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და თანამდებობაზე განწესების პროცესსაც. უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის განახლებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საიას მიერ მომზადებული ანგარიში 2020 წელს პლენუმის საქმიანობის შესახებ. დოკუმენტში გაანალიზებულია კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და პლენუმის უფლებამოსილებების მომწესრიგებელი ჩარჩო კომპარატივისტულ ჭრილში.



საანგარიშო პერიოდში ასევე გამოქვეყნდა 2 მცირე კვლევა:

1. „უზენაესი სასამართლოს მოდელები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში“ - მიმოიხილავს სასამართლოს მოდელებს ევროკავშირის წევრ იმ ქვეყნებში, რომელთა მართლმსაჯულების სისტემა საქართველოს მსგავსია;

2. „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში“ კი აანალიზებს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების საფუძვლებს საქართველოსა და ევროკავშირის წევრ იმ ქვეყნებში, სადაც საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ორგანოს ფორმირებაში ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ანალიტიკური დოკუმენტი მომზადდა პროექტის ფარგლებში - „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელსაც აფინანსებდა აშშ-ის განვითარების სააგენტო (USAID), აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მეშვეობით. პროექტი 2021 წლის ივნისში დასრულდა.

საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ასევე ორი ბლოგი („ვიწრო წრე - სასამართლოში მენეჯერულ თანამდებობებზე კლანის წევრთა განაწილება“, „მართლმსაჯულების სისტემის ძირითადი გამოწვევები უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მესამე ციკლიდან“) და შეფასებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. 2021 წლის სექტემბრიდან საია მართლმსაჯულების ორგანოების მონიტორინგს და სასამართლოს რეფორმის მხარდაჭერას აგრძელებს ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში - „სასამართლო სისტემის მონიტორინგი“.

საჯარო მმართველობა

2020-2021 წლებში საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) ერთად, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა სამოქალაქო მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“. საიას იკვლევდა ორ მიმართულებას: პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, საჯარო ფინანსების მართვა. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ციფრული პლატფორმა PAR tracker, რომლის საშუალებითაც ფართო საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმაცია საჯარო მმართველობის რეფორმის მიმდინარეობის შესახებ.

2020 წლის დეკემბრიდან მონიტორინგის ფარგლებში საიამ 5 ანგარიში გამოსცა: პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მიმართულებით - 2020 წლის პირველი და მეორე ნახევრის მონიტორინგის ანგარიშები, საჯარო ფინანსების შესახებ - 1-წლიანი (2020) და ორივე მიმართულებით - 2-წლიანი საბოლოო ანგარიშები. დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობდა პასუხისმგებელ უწყებებთან (მთავრობის ადმინისტრაცია, იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროები), უზიარებდა მათ კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს.

საჯარო მმართველობის მიმართულებით, საიას დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამამ ასევე შეისწავლა პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის კარგი პრაქტიკა ევროკავშირის 5 ქვეყნის მაგალითზე. მომზადდა კვლევა „საჯარო მმართველობის საუკეთესო ევროპული პრაქტიკა და საქართველო“, რომლის პრეზენტაცია საიამ IDFI-ისთან ერთად გამართა.

საჯარო მმართველობის თეორიული შესწავლისთვის ორგანიზაციამ გამოაქვეყნა ბლოგ-პოსტები: „უმრავლესობის, უმცირესობის და ტექნიკური მთავრობები - როგორ უნდა ამოვიცნოთ ისინი“, „პრეზიდენტის ვეტოს ფარგლები“. გარდა ამისა, მომზადდა კიდევ ორი ბლოგი ჩილეში ავტორიტარული წარსულიდან დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის პროცესისა და, ამის შესაბამისად, ქვეყნის კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ („ჩილეს გზა ავტორიტარული მმართველო-

ბიდან დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობამდე“ და „დიქტატურის მემკვიდრეობა - დაუსჯელობა ჩილეში“).

2019 წლის დეკემბრიდან მსოფლიოს მასშტაბით გავრცელებულმა პანდემიამ არაერთ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და შესაბამისი რეგულაციების დაწესება განაპირობა. ამას მოჰყვა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებში უფლებამოსილებათა გადალაგება. შედეგად, აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება გაიზარდა და გავრცელდა საკანონმდებლო და, ნაწილობრივ, სასამართლო ფუნქციებზეც.



საიას მიერ მომზადებულ კვლევაში გაანალიზებულია საგანგებო მდგომარეობის პირობებში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა და ის პრობლემები, რომელთა წინაშეც სახელმწიფოები შექმნილი ექსტრაორდინარული ვითარების გამო აღმოჩნდნენ. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა უკავშირდებოდა მთავრობათა შესაძლო უკონტროლო სუვერენობას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების, შესაბამისი წესების შემოღებისა და მათი აღსრულების პროცესში. სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც გაჩნდა საჭიროება, შეფასებულიყო საგანგებო რეჟიმის დროს მთავრობის ფუნქციონირების წესი და კომპეტენციები, მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლები და მოტივები, აგრეთვე მთავრობის შიგნით უფლებამოსილებათა განაწილების ტენდენცია მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. კვლევაში წარმოდგენილია საქართველოს მთავრობის საქმიანობის შეფასება 2020 წლის მარტში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის რეგულირებასთან დაკავშირებული ნორმატიული ბაზისა და მის მიღმა არსებული ქმედებების ანალიზის გზით. ასევე შესწავლილია უცხო ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა და გამოცდილება. დოკუმენტში განხილულია მთავრობის მუშაობის პრინციპი ორდინარულ ვითარებაში როგორც ქართული, ისე ევროკავშირის წევრი ცხრა სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით. კვლევის მიგნებები და რეკომენდაციები საიამ შესაბამის სუბიექტებს, მათ შორის, მთავრობის ადმინისტრაციას წარუდგინა. დოკუმენტზე მუშაობა და მისი მომზადება შესაძლებელი გახდა აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა ასევე სამი ბლოგ-პოსტი: „საგანგებო მდგომარეობის მართვა პარალელური სტრუქტურით - ოპერაციული დონე“, „საგანგებო მდგომარეობის მართვა პარალელური სტრუქტურით - უწყებათაშორისი საბჭო“, „საგანგებო მდგომარეობა, როგორც სამედიცინო რეცეპტი“.

- საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროინტეგრაციაზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკური კურსი და ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება. 2021 წლის აპრილში საიამ გამართა ონლაინ დისკუსია „საქართველოს გზა ევროინტეგრაციისკენ: კრიზისი, რომელიც არავის სჭირდება“. ღონისძიებაზე მომხსენებლებად მოწვეულნი იყვნენ: მარკეტა გრეგოროვა - ევროპარლამენტის წევრი; ნატალი საბანაძე - ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი და ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი 2013-2021 წლებში; სტივენ ბლოკმანსი - კვლევის დირექტორი, CEPS; ფრანციზკა სმოლნიკი - ევრაზიის კვლევის განყოფილების უფროსის მოადგილე, საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების გერმანიის ინსტიტუტი. დისკუსიას მოდერაციას უწევდა თეონა ლავრელაშვილი - ლუვენის უნივერსიტეტში ევროპის პარტიების კვლევითი პროგრამის მენეჯერი.

- 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით საჭირო გახადა დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლება და აქტიური ადვოკატირება. 2021 წლის აპრილ-მაისის პერიოდში საიას, გერმანიის საელჩოსა და საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ორგანიზებით გაიმართა ონლაინ კონფერენცია „საქართველო - დემოკრატიის მომავალი“. კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა ოთხი სესია: (1) „რა არის

დემოკრატია? როგორ შეგვიძლია მისი გაზომვა და პროგრესის შეფასება?“ (2) „დემოკრატიული განვითარების ოცდაათი წელი საქართველოში - მიღწევები და გამოწვევები“; (3) „რა ეტაპზეა საქართველო ამჟამად? რისი გაკეთებაა საჭირო სამომავლოდ?“ (4) „ანგარიშვალდებული მთავრობა“. თითოეულ სესიაზე მოწვეულნი იყვნენ მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებმაც განიხილეს საქართველოს დემოკრატიის მიღწევები, საჭიროებები და გამოწვევები. კონფერენციას ესწრებოდნენ აკადემიკოსები, სამოქალაქო საზოგადოების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მონაწილეებს მომხსენებლებისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობაც ჰქონდათ.

ადგილობრივი თვითმმართველობა

საანგარიშო პერიოდში საიამ დაასრულა GIZ-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი, რომლის მიზანი იყო საქართველოს მუნიციპალიტეტებში საჯარო სერვისების მიწოდების ეფექტიანობის განსაზღვრა. კვლევა მოიცავდა როგორც ახლად დანერგილი სერვისების, ისე უკვე არსებული მექანიზმების ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. შედეგად, 2021 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი „მუნიციპალური მომსახურების ხელმისაწვდომობა“.



გარდა ამისა, საჯარო მმართველობის რეფორმის მონიტორინგის ფარგლებში გათვალისწინებული იყო რეგიონებში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა საჯარო მმართველობის რეფორმაში მათი ჩართულობის გასაზრდელად. 2021 წელს დაფინანსდა 6 პროექტი, რომელშიც, ჯამში, 15 ორგანიზაცია მონაწილეობდა, მათი აქტივობები კი 26 მუნიციპალიტეტში განხორციელდა. სექტემბერში საიას კოორდინირებით ჩატარდა რეგიონული კონფერენცია, რომელზეც არასამთავრობო სექტორმა, მთავრობის წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოებამ ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის კუთხით არსებული გამოწვევები განიხილეს.

მონიტორინგის გარდა, საიას ამოცანა იყო სამიზნე მუნიციპალიტეტებში რეფორმის მიმდინარეობის, მათ შორის, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამ მიზნით 2021 წლის დასრულებამდე საია ტრენინგების ჩატარებას გეგმავს.

არჩევნები

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, საია 2020-2021 წლებში აგრძელებდა პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ განხორციელებას. პროექტის ამოცანაა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზაცია აკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს. საანგარიშო პერიოდში საია აქტიურად

იყო ჩართული საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელახალი დაკომპლექტების პროცესში. ამ მიმართულებით არაერთი განცხადება, დასკვნა, რეკომენდაცია და კვლევა გამოქვეყნდა.

2021 წლის ივლისში დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამამ მოამზადა ვრცელი სტატია „რას (არ) უნდა ველოდოთ 2 ოქტომბრის არჩევნებისგან“. ასევე გამოქვეყნდა ბლოგ-პოსტები: „ამომრჩევლის ნების კონტროლის ტენდენციები საქართველოში“ და „კიდევ ერთი ნეგატიური დასკვნა ვენეციის კომისიისა და ოდირისგან“. ეს უკანასკნელი შეეხება პოლიტიკური პარტიების რეგისტრაციისა და დაფინანსების წესის ცვლილების შესახებ ინიცირებული კანონპროექტების საერთაშორისო შეფასებას. გარდა ამისა, მომზადდა ბლოგი „ხმის თანასწორობის პრინციპი ადგილობრივ დონეზე“, რომელიც მიმოიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმის თანაბრობასთან დაკავშირებულ საუკეთესო პრაქტიკას. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების მოდელების შესახებ 2021 წელს ასევე გამოქვეყნდა შედარებითი კვლევა: „საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც დამოუკიდებელი ორგანო.“

- პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში“ ერთ-ერთი კომპონენტის, პოლიტიკური გარემოს მონიტორინგის, მიმართულებით საია ყოველთვიურად ამზადებს საინფორმაციო ბიულეტენებს. საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 12 ასეთი დოკუმენტი, სადაც აღწერილია ყველა ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე. მათი პრეზენტაცია ორგანიზაციამ 2021 წლის ივლისში გამართა. იმავდროულად, 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა ქსელური შეხვედრები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გარემოს შეფასების მიზნით.

საარჩევნო გარემოს შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკური თანასწორობის ინდექსის შემუშავებას, რომლის ამოცანა სხვადასხვა, მათ შორის, დაუცველი ჯგუფების საარჩევნო-პოლიტიკური თანაბრობის ხარისხის გაზომვაა.

იგი აჩვენებს, რამდენად მჭიდრო კავშირია ინსტიტუციურ ჩარჩოს, პოლიტიკურ პროგრამებს, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების დაუცველი ჯგუფების საჭიროებებს შორის. პროექტი მიზნად ისახავს პოლიტიკური თანასწორობის საკითხის კვლევისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავებას, დაუცველი ჯგუფების ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაზე წვდომის შესაძლებლობების შესწავლასა და პოლიტიკური თანასწორობის პირველი ინდექსის მომზადებას. საანგარიშო პერიოდში საიამ, ექსპერტთა ჯგუფების მეშვეობით, უკვე შეიმუშავა მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო კვლევითი საქმიანობა.

„ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - „გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საქართველოში“ - საია წინასაარჩევნო გარემოს აკვირდებოდა. პროექტის მიზანი იყო არჩევნების თავისუფალ, თანასწორ და კონკურენტულ გარემოში წარმართვის ხელშეწყობა. ორგანიზაციამ 2020 წელს გამოაქვეყნა გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის მეოთხე შუალედური ანგარიში, რომელშიც შეფასებულია საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღემდე, ბოლო კვირისა და მეორე ტურის წინა პერიოდის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა. 2021 წლის ივლისში



კი, საქართველოში ნორვეგიის საელჩოს, ბრიტანეთის საელჩოს, ევროკავშირისა და „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, გამოიცა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც წინასაარჩევნო პერიოდის, ასევე კენჭისყრის დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდის შეფასებასაც.

„ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით, საია ასევე აკვირდება 2021 წლის მაისიდან ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და წინასაარჩევნო გარემოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში. პირველ ანგარიშში, რომელიც ფარავს 2021 წლის 1-ლი მაისიდან 31 ივლისის ჩათვლით პერიოდს, საიამ შეაფასა არჩევნებისწინა (საარჩევნო კამპანიის მომწესრიგებელი ნორმების ძალაში შესვლამდე) გარემო. ორგანიზაციამ სექტემბერში ასევე გამოაქვეყნა მეორე შუალედური ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა და მოიცავს 3 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით გამოვლენილი ფაქტების შესახებ ინფორმაციას. მესამე შუალედური ანგარიში კი მიმოიხილავს 25 სექტემბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით განვითარებულ მოვლენებს. საბოლოოდ, იგეგმება 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მისიის ფინალური ანგარიშის გამოქვეყნება.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში საია ასევე აკვირდებოდა კენჭისყრის პროცესს არჩევნების როგორც პირველი, ისე მეორე ტურის განმავლობაში. პირველი ტურის მისია განხორციელდა დიდი ბრიტანეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. შედეგად, 2 ოქტომბერს, კენჭისყრის დღეს, ქვეყნის მასშტაბით 10 მუნიციპალიტეტში საიას 350-მდე საოლქო და საუბნო დამკვირვებელი იყო წარმოდგენილი.



მეორე ტურის მისია შედგებოდა 247 დამკვირვებლისგან და ფარავდა 4 რეგიონის 9 მუნიციპალიტეტს (თბილისი, რუსთავი, სენაკი, მარტვილი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ბათუმი, ხელვაჩაური). 30 ოქტომბრის კენჭისყრის დღის დაკვირვება საიამ დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით შეძლო.

ორივე ტურის დროს ფუნქციონირებდა საიას ცენტრალური საარჩევნო შტაბი და რეგიონული შტაბები. რეგიონებიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ცენტრალური შტაბი უზრუნველყოფდა საზოგადოების დროულ ინფორმირებას და მისიის მიმდინარეობის შედეგებზე განცხადებების გავრცელებას.

3

სამართლებრივი დახმარება

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სამართლებრივი დახმარების პროგრამა 4 პრიორიტეტული მიმართულებით მუშაობს:

- **იურიდიული დახმარება**
- **სტრატეგიული სამართალწარმოება**
- **აღსრულების მექანიზმების გამოყენება**
- **ჰააგის სასამართლოს საქმიანობის და საქართველოს სიტუაციის გამოძიების ხელშეწყობა**

იურიდიული დახმარება

საანგარიშო პერიოდში საიამ სამართლებრივი დახმარება 17 300-ზე მეტ პირს გაუწია.



გაწეული სამართლებრივი დახმარების ტიპები:



2021 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საიას ეროვნულ დონეზე წარმოებაში აქვს 298 მიმდინარე საქმე:



მოგებული საქმეები

საანგარიშო პერიოდში საიამ ეროვნულ დონეზე წარმატებით დაასრულა 49 საქმე. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს.

ნაღმის აფეთქების შედეგად დაზარალებული პირის სასარგებლოდ შსს-ს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

დაზარალებული 2004 წლის 21 აგვისტოს დასასვენებლად იმყოფებოდა აჭარაში. „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, 2004 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმდროინდელი მეთაურის ასლან აბაშიძის ბრძანებით, დაინაღმა აჭარის შესასვლელთან მდებარე ჩოლოქის ხიდი. ნაღმები განთავსდა ასევე აჭარის მთელ ტერიტორიაზე. ზღვისპირა ზოლზე მანქანით გავლისას, დაზარალებული სწორედ ერთ-ერთ ასეთ ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. შედეგად, მას ორივე ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. 2005 წელს მან თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. დავა ამ დრომდე გრძელდებოდა. საბოლოოდ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქალაქის სასარგებლოდ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ფლობდა ინფორმაციას ჩაქვის მიმდებარე ტერიტორიის დანაღმვის შესახებ, თუმცა არ მიიღო პრევენციული ზომები ტერიტორიის დროულად და სრულად გასაწმენდად. ამან კი შექმნა ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში ვითარება.

ამ საქმეზე საჩივარი გაიგზავნა ევროპულ სასამართლოშიც კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევის დადგენის მოთხოვნით. 2014 წლის 21 ივლისს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი დეკლარაცია და, ტერიტორიის განაღმვასთან დაკავშირებული პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა აღიარა.

წარმოების გაჭიანურების გამო, აღსრულების ეროვნულ ბიუროს მოქალაქისთვის ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს, წარმოების გაჭიანურების გამო, დაევალა მოქალაქისთვის მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება. საქმე შეეხებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის იმ გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლითაც სატრანსპორტო კომპანიას მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული ჰქონდა მკურნალობის (პროთეზირების) ხარჯების ანაზღაურება.

სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ბიუროს უმოქმედობა, რაც გამოიხატებოდა მოვალის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის დაახლოებით 3 წლის დაგვიანებით რეალიზაციაში. სასამართლომ განმარტა, რომ ბიუროს დაუყოვნებლივ შეეძლო უძრავი ქონების შეფასება და აუქციონზე გაყიდვა, ამ პროცესის გაჭიანურებამ კი მოსარჩელეს მიაყენა ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით.

საქართველოს სახალხო დამცველმა „Bolt Food“-ის მხრიდან კურიერების მიმართ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა

საქართველოს სახალხო დამცველმა გამოსცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, „Bolt Food“-ის კურიერების მიმართ განსხვავებული აზრის გამო პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. ამ რეკომენდაციას წინ უძღოდა კომპანიის მიერ კურიერებისთვის შეტყობინების გაგზავნა ტარიფის შემცირების შესახებ. სიტუაციის გასარკვევად კურიერების ნაწილმა „Bolt Food“-ის ადგილობრივ წარმომადგენლობას მიმართა. მათ განუმარტეს, რომ შრომითი პირობების განსაზღვრის შესახებ მითითებას ესტონეთის ცენტრალური ოფისიდან იღებდნენ. კურიერებმა გადაწყვიტეს, არ ჩაერთოთ აპლიკაცია და უარი ეთქვათ შეკვეთების მიღებაზე. მათ კიდევ ერთხელ მიმართეს კომპანიის ადმინისტრაციას მოლაპარაკების მიზნით, თუმცა - კვლავ უშედეგოდ. იმავე დღეს, პროტესტის პასუხად, კომპანიამ

დაახლოებით 25 კურიერს, მათ შორის განმცხადებლებს, აპლიკაციაზე წვდომა შეუზღუდა. ე.წ. support-ჯგუფმა კურიერებს ამის მიზეზი განუმარტა და განუცხადა, რომ ისინი ორგანიზებულად მოქმედ ჯგუფთან შენიშნეს, რომელმაც მათი სერვისის ნორმალურ ფუნქციონირებას ხელი შეუშალა.

საქმეში არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, სახალხო დამცველმა დაადგინა, რომ განმცხადებელთა უფლებები დაირღვა მათი განსხვავებული მოსაზრებებისა და პროტესტის გამო, რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა დამსაქმებლისთვის. თავის მხრივ, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა სათანადო და დამაჯერებელი არგუმენტაცია, რომელიც სახალხო დამცველს დისკრიმინაციული მოპყრობის ვარაუდს გაუქარწყლებდა. შესაბამისად, კომპანიას კურიერებისთვის „Bolt Food“-ის აპლიკაციაზე წვდომის დაუყოვნებლივ აღდგენა დაევალა.

საკუთრების უფლების დარღვევის გამო, მერიასა და საჯარო რეესტრს მოქალაქისთვის ზიანის ანაზღაურება დაევალათ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მოქალაქისთვის 14 000 აშშ დოლარის ოდენობით მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაავალა. სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოების არამართლზომიერმა ქმედებებმა მოქალაქის საკუთრების უფლება დაარღვია. კერძოდ, 2005 წელს განმცხადებელმა დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთი. 2011 წელს სსიპ ქონების მართვის სააგენტომ ამავე ნაკვეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში აღრიცხვის

მოთხოვნით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა. ამ უკანასკნელმა განაცხადი საკითხის გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე დააკმაყოფილა, რის შემდეგაც ქონების მართვის სააგენტომ მიწის ნაკვეთი აუქციონის წესით კერძო პირზე გაასხვისა.

სასამართლომ განმარტა, რომ თვითმმართველობის სახელზე მიწის ნაკვეთის რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენისას აუცილებელი იყო საქმის გარემოებების სათანადოდ გამოკვლევა. იმავდროულად, ადმინისტრაციულ ორგანოს უძრავი ქონების თავის საკუთრებად აღრიცხვის თაობაზე სარეგისტრაციო სამსახურისთვის მიმართვისას ხელთ უნდა ჰქონოდა საჯარო რეესტრში არსებული ინფორმაცია ნაკვეთთან დაკავშირებით, მათ შორის, ნაკვეთის დაუზუსტებელი რეგისტრაციის შემთხვევაშიც. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც მარეგისტრირებელი ორგანო, ვალდებული იყო, გადაწყვეტილება საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიეღო.

დევნილი ოჯახი საცხოვრებელს მიიღებს

საია იცავდა დევნილ ოჯახს, რომელსაც სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროების უზრუნველყოფის სააგენტო უარს ეუბნებოდა საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზე. უარის საფუძვლად სააგენტო მიუთითებდა, რომ ოჯახი ახლო ნათესავის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრობდა და ალტერნატიული საცხოვრებელი არ სჭირდებოდა.

საია სასამართლო პროცესებზე ამტკიცებდა, რომ სააგენტოს უარი ეფუძნებოდა კანონმდებლობის არასწორ განმარტებას და ახლო ნათესავის საკუთრებაში არსებულ ბინაში ცხოვრება დევნილ ოჯახს არ ართმევდა უფლებას, ალტერნატიული საცხოვრებელი მოეთხოვა. სამივე ინსტანციის სასამართლომ საიას პოზიცია გაიზიარა. შედეგად, დევნილი ქალი და მისი არასრულწლოვანი შვილები საცხოვრებელ ბინას მიიღებენ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას ომის შედეგად დაზიანებული სახლის აღსადგენად თანხის გადახდა დაეკისრა

საია იცავდა პირს, რომელსაც 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ნიქოზში ჭურვების მოხვედრის შედეგად სახლი დაუზიანდა და მასში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. გორის მუნიციპალიტეტის მერია მას წლების განმავლობაში უარს ეუბნებოდა საცხოვრებლის აღდგენაზე იმ საფუძვლით, რომ ბიუჯეტში შესაბამისი ფინანსური სახსრები არ იყო.

საიას გორის ოფისის დახმარებით, დაზარალებულმა სასამართლოს მიმართა და სახლის აღსადგენად საჭირო თანხის - 24.893.05 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლოს სხდომაზე მუნიციპალიტეტი აცხადებდა, რომ დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტიდან არ მომხდარა. სახსრები გამოიყოფოდა მთავრობის განკარგულებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან. შესაბამისად, მას ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრებოდა. საია, თავის მხრივ, ამტკიცებდა, რომ გორის მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო, მოსარჩელის სახლის რეაბილიტაცია მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან დაეფინანსებინა. ხოლო, თუ ეს თანხა საკმარისი არ იქნებოდა, სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის დასაბუთებული მოთხოვნით მას საქართველოს მთავრობისთვის უნდა მიემართა. სამივე ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა საიას პოზიცია და გორის მუნიციპალიტეტის მერიას მოსარჩელისთვის 24 893.05 ლარის გადახდა დაევალა.

საწარმოო ტრავმის გამო დაზარალებული ელექტრომონტიორი სარჩოს მიიღებს

საია იცავდა ელექტრომონტიორს, რომელმაც 1989 წელს საწარმოო ტრავმა მიიღო და ყოველთვიური სარჩო დაენიშნა. წლების განმავლობაში არ ხდებოდა ამ თანხის გადაანგარიშება ელექტრომონტიორის პოზიციაზე არსებული ანაზღაურების შესაბამისად და მხოლოდ 60 ლარს შეადგენდა.

საიას დახმარებით, დაზარალებულმა სასამართლოს მიმართა და მოითხოვა როგორც მიუღებელი სარჩოს ანაზღაურება, ისე ყოველთვიური თანხის სათანადო გადაანგარიშება. თბილისის საქალაქო სასამართლოში დავა მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდა. მოპასუხე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ დაეკისრა დაზარალებულისთვის, მიუღებელი სარჩოს სახით, 17 280 ლარის და, ასევე, საპენსიო ასაკის მიღწევამდე, ყოველთვიურად, 550 ლარის გადახდა. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრა, თუმცა, ის არ შეცვლილა და კანონიერ ძალაში შევიდა.

უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელე სამსახურში აღდგა

საია იცავდა 2021 წლის 17 ივნისს გათავისუფლებულ საჯარო მოხელეს, რომელიც დასაქმებული იყო გურჯაანის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ინსპექტირების განყოფილებაში. 2021 წლის 28 მაისს, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის გამო, მან სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადება დაწერა, თუმცა 14 სამუშაო დღის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, მისი განუხილველად დატოვება მოითხოვა. ამის მიუხედავად, 17 ივნისს მერიამ მისი გათავისუფლების ბრძანება გამოსცა.



საიას დახმარებით, 2021 წლის 16 ივლისს მან მიმართა გურჯაანის რაინულ სასამართლოს და მოითხოვა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და მორალური ზიანის ანაზღაურება. სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით საიამ ასევე წარადგინა განაცხადი გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ამ პოზიციაზე სხვა პირის უვადოდ დანიშვნის აკრძალვის თაობაზე, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

სარჩელის წარმოებაში მიღების შემდგომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთარი ინიციატივით ბათილად ცნო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება და საჯარო მოხელე აღადგინა იმავე პოზიციაზე, რომელიც მანამდე ეკავა. ასევე, აუნაზღაურა განაცდური ხელფასი და შეუნარჩუნა გათავისუფლებამდე მინიჭებული საკლასო ჩინი.

საიას დახმარებით, მოქალაქემ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დავა მოუგო

საია იცავდა პირს, რომელიც სისხლის დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული იყო, როგორც აივ-ინფიცირებული. ამის გამო მას სისხლის დონორად ყოფნის უფლება შეეზღუდა. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აკრძალვის მიზეზად ასახელებდა 2012 წელს შპს „სისხლის ბანკის“ მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელშიც მითითებული იყო, რომ პირის აივ-ინფიცირების ფაქტი დაუდგინდა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის კვლევის თაობაზე მას მხოლოდ 2020 წელს აცნობეს, როდესაც მეგობრის დასახმარებლად სისხლის ჩაბარებას აპირებდა.

განმცხადებელმა წარმოადგინა 2015, 2016 და 2017 წლებში ჩატარებული გამოკვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, მას აივ-ინფიცირების ფაქტი არ დაუდასტურდა. ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად, 2020 წლის 4 დეკემბერს მან განმეორებით მიმართა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკულ ცენტრს, საიდანაც 2020 წლის 12 დეკემბერს მიიღო პასუხი - უარყოფითი (აივ საწინააღმდეგო ანტისხეულები არ აღმოჩნდა).

შესაბამისი შედეგების წარდგენის მიუხედავად, ცენტრმა განმცხადებელს ახალი ინფორმაციის ასახვაზე უარი უთხრა. მიზეზად მას ეცნობა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სისხლის გზით გადამდებ ინფექციებზე სკრინინგული კვლევის დადებითი შედეგის გამო დაწუნებული დონორებისთვის

სტატუსის აღდგენას, მათ შორის, კონფირმაციული კვლევების უარყოფითი შედეგის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ცენტრი ინფორმაციის განახლებას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

საიას დახმარებით, განმცხადებელმა სახელმწიფო ინსპექტორის აპარატს მიმართა. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზა არ იძლევა დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ქრონოლოგიურად და თანმიმდევრულად ასახვის საშუალებას, მაშინაც კი, როდესაც მომდევნო მონაცემი წინას ეწინააღმდეგება. შესაბამისად, ყველა ის პირი, რომელსაც ბაზაზე ხელი მიუწვდება, შესაძლოა, ეცნობოდეს მოძველებულ მასალას სუბიექტის შესახებ. თავად ამ უკანასკნელს კი შეზღუდული აქვს შესაძლებლობა, ბაზაში თავისი ჯანმრთელობის შესახებ განახლებული ინფორმაცია განათავსოს.

სახელმწიფო ინსპექტორის მოსაზრებით, იგი ვერ იმსჯელებს პირისთვის დონორობის უფლების აღდგენის საკითხზე, რადგან ეს სამედიცინო კატეგორიაა. თუმცა, ჯანმრთელობის შესახებ ცნობები განსაკუთრებული მგრძნობელობით ხასიათდება და ადამიანებს აქვთ კონსტიტუციური უფლება, სწორი და სრულყოფილი სურათი შექმნან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ყველა იმ სუბიექტის წინაშე, რომლებიც სისხლის დონორთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მეშვეობით მონაცემებს ამუშავებენ.

შესაბამისად, ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს დაევალა, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 2 თვის ვადაში სისხლის დონორთა ერთიან ელექტრონულ ბაზას დაამატოს დონორთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ცვლილების ტექნიკური ფუნქციონალი და მასში ასახოს 2012 წლის შემდეგ განმცხადებლის აივ-ინფექციაზე ტესტირების შედეგები.

უკანონოდ გათავისუფლებული 2 სოციალური მუშაკი სამსახურში აღდგა

საია იცავდა უკანონოდ გათავისუფლებული 2 სოციალური მუშაკის უფლებებს. ისინი 2020 წლის 31 იანვარს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოდან მისი რეორგანიზაციის შემდგომ გაათავისუფლეს. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მეურვეობისა და მზრუნველობის უფლება-მოვალეობები გადაეცა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის თანამდებობებზე უკონკურსოდ უნდა გადაეყვანა სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებული პირები. ამის მიუხედავად, არაერთი სოციალური მუშაკი სამსახურიდან რეორგანიზაციის საბაბით დაუსაბუთებლად გაათავისუფლეს.

საიას დახმარებით, ორმა სოციალურმა მუშაკმა, რომლებიც ქუთაისისა და თელავის საქალაქო სასამართლოებში დავობდნენ, პირველ ინსტანციაში საქმეები წარმატებით დაასრულეს. სასამართლოებმა მათი მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილეს: ბათილად ცნეს გათავისუფლების ბრძანებები, მოპასუხეს დაევალა სამსახურში მათი აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. მოპასუხემ გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციებში აღარ გაასაჩივრა, სოციალური მუშაკები სამსახურში აღადგინა და განაცდური აუნაზღაურა.

სტრატეგიული სამართალწარმოება

სტრატეგიული სამართალწარმოება საკონსტიტუციო სასამართლოში

საია საკონსტიტუციო სასამართლოში აწარმოებს 30 საქმეს. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ 12 სარჩელი შეიტანა. წარმატებით დასრულდა 8 მათგანი. აქედან 6 საქმეში სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, ერთში გააკეთა ნორმის მნიშვნელოვანი განმარტება, ხოლო ერთში პრობლემა განხილვამდე მოგვარდა.

ახალი სარჩელები

საანგარიშო პერიოდში წარდგენილი სარჩელები შემდეგ საკითხებს შეეხება:

- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის იმ ბრძანების კონსტიტუციურობა, რომლითაც პროფესიულ სასწავლებელში მიღებისას უპირატესობა ენიჭებოდათ 19-დან 29 წლამდე პირებს, 29 წელს გადაცილებულ აპლიკანტებთან შედარებით, რაც ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაა;

- საქართველოს მთავრობის დადგენილება არ ითვალისწინებს საჯარო მოხელის შეფასების დროს იმ სფეროში სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის მონაწილეობას, რომელშიც მოხელე ფასდება. მაგალითად, ეკონომისტი არ აფასებს ეკონომიკის მიმართულებით დასაქმებულ სუბიექტს, რითაც ირღვევა კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებული უფლება - ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის სამართლიანი განხილვა;

- საქართველოს კანონმდებლობით, მარტოხელა მამაკაცს არ აქვს სუროგატი დედის მომსახურებით, ასევე, კვერცხუჯრედის დონორთა ბანკით სარგებლობის უფლება. ამის პარალელურად, მარტოხელა ქალს ხელი მიუწვდება სპერმის დონორთა ბანკზე, ხოლო წყვილებს შეუძლიათ, ჩაერთონ სუროგაციის პროგრამაში. შესაბამისად, მარტოხელა მამაკაცი მოკლებულია შესაძლებლობას, ჰყავდეს შვილი, რითაც ირღვევა კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების უფლება;

- კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების არასწორი ინტერპრეტაციით, საკუთარ თავს უფლება მისცა, სანქცია დააკისროს მედიას უხამსი პროგრამის ეთერში გაშვებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, მხოლოდ სასამართლოს, და არა კომისიას, აქვს უფლება, რეაგირება მოახდინოს უხამს სამაუწყებლო გადაცემაზე. წარდგენილ სარჩელში საია ამტკიცებს, რომ კომუნიკაციების კომისიის ამგვარი უფლებამოსილება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს „მხოლოდ კანონით“;

- 55 წლის მიღწევისთანავე მეხანძრე ავტომატურად თავისუფლდება სამსახურიდან ისე, რომ არ ფასდება, რამდენად შეუძლია მას მეხანძრის მოვალეობის სათანადოდ შესრულება, რაც ასაკის ნიშნით დისკრიმინაციაა;

- ჩხრეკის კანონიერების სასამართლოში გასაჩივრების ვადა აითვლება არა დაინტერესებული პირისთვის ჩხრეკის კანონიერად ცნობის თაობაზე განჩინების ჩაბარების, არამედ ჩხრეკის დასრულების მომენტიდან. ამით ირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლება;

- კანონმდებლობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაძლებლობას აძლევს, უფლებამოსილება გაუგრძელოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, რომელსაც 10-წლიანი ვადა ამოეწურა. ამით ირღვევა იმ პირთა სათანადო იურისდიქციის სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება, რომელთა საქმეებსაც ასეთი მოსამართლეები განიხილავენ;

- ფიზიკურ პირს არ შეუძლია, თავის წარმომადგენელს მინდობილობით გადასცეს კონსტიტუციური სარჩელის ხელმოწერის უფლება, მაშინ, როცა იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს კანონით ამგვარი შესაძლებლობა აქვს;

- ეროვნული არქივი შტრიხავს პერსონალურ მონაცემებს, არ გასცემს საბჭოთა რეპრესიებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებს, მათ შორის დაშტრიხული ფორმით. იმავდროულად, დაინტერესებულ პირებს არქივზე წვდომისთვის აკისრებს ვალდებულებას, დაამტკიცონ იმ პირის გარდაცვალების ფაქტი, რომლის შესახებაც სურთ ინფორმაციის მიღება. ასევე, არქივში დაცული მასალების ასლის მისაღებად დაწესებულია არაგონივრულად მაღალი მოსაკრებელი;

- სახელმწიფომ სრულად არ აღუდგინა რეგრესის პენსია სამოქალაქო ავიაციაში დასაქმებულ იმ პირებს, რომლებსაც 2007 წლის 17 აგვისტოს შეუმცირდათ ყოველთვიურად მისაღები დახმარების ოდენობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში არ არის დაცული ხმის თანაბარი წონის უფლება. მაგალითად, ქალაქ დუშეთის 5935 ამომრჩეველი და მაღაროსკარისა და უკანაფშავის 735 ამომრჩეველი დუშეთის საკრებულოში ირჩევენ თანაბარი რაოდენობის, თითო-თითო მაჟორიტარ დეპუტატს;
- გასაჩივრებული ნორმა დედისერთებისთვის ადგენს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების შესაძლებლობას. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების განმარტებით, ტერმინი „დედისერთა“ მოიცავს მხოლოდ დედის ერთადერთი შვილის ცნებას და არ გულისხმობს პირს, რომელიც არის მამის ერთადერთი შვილი. აქედან გამომდინარე, კანონის ზემოთ ხსენებული ჩანაწერი ამ უკანასკნელზე არ ვრცელდება. საიას მიაჩნია, რომ სადავო ნორმის ამგვარი განმარტება წარმოშობს დისკრიმინაციას დედისერთა და მამისერთა პირების მიმართ და ეწინააღმდეგება კონსტიტუციით დაცულ თანასწორობის პრინციპს.

წარმატებული საქმეები

1. დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაღების კონსტიტუციურობა

2020 წლის 18 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომელიც პროკურორს უკრძალავდა დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლების გადაცემას. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დაზარალებული საქმესთან დაკავშირებულ ინფორმაციას პროკურატურასა ან საგამოძიებო ორგანოში, შესაბამისი პროკურორის ან გამომძიებლის ზედამხედველობის ქვეშ ეცნობოდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ირღვეოდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლითაც გარანტირებულია ყველა ადამიანის უფლება, საჯარო დაწესებულებაში გაეცნოს მასზე არსებულ ინფორმაციას.

2. სამართალდარღვევის იარაღის სავალდებულო ჩამორთმევის კონსტიტუციურობა

2020 წლის 12 ნოემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმა, რომელიც ზღუდავდა მოსამართლის დისკრეციას და იმპერატიულად ავალებდა მას სამართ-

ალდარღვევის ჩადენის იარაღის ჩამორთმევას - ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე.

მოსარჩელე კომპანიამ სათანადო ლიცენზიის გარეშე მოიპოვა 1m^3 ქვიშა, რომლის ღირებულება შეადგენდა 20 თეთრს, ხოლო გარემოსთვის მიყენებული ზიანი – 201 ლარს. აქედან 200 ლარი იყო სალიცენზიო მოსაკრებლის ხარჯი, ხოლო გარემოსათვის მიყენებული ზიანის წმინდა ოდენობა - 1 ლარი. ამ ქმედებისთვის კომპანიას პასუხისმგებლობა დაეკისრა სადავო ნორმის საფუძველზე და დამატებითი სახდელის სახით ჩამოერთვა 54 650 აშშ დოლარის ღირებულების ტრაქტორი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული ნორმა მოსამართლეს არ აძლევდა შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად განესაზღვრა სამართალდარღვევის იარაღის ჩამორთმევის აუცილებლობა საქმის გარემოებებისა და სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სადავო ნორმა სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველ და მეორე პუნქტებთან მიმართებით.

3. თბილისში კერძო საკუთრებაში არსებულ შენობებზე ბანერების დროებით გამოფენის აკრძალვის კონსტიტუციურობა

2020 წლის 11 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას სარჩელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ ნორმის შესახებ, რომელიც სპონტანური პროტესტის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ შენობებზე ბანერების დროებით განთავსებას კრძალავდა.

საიას მტკიცებით, ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება 2019 წლის 4 ივლისს საქმეზე „ბესიკ ქათამაძე, დავით მჟავანაძე და ილია მალაზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომელსაც ასევე საია აწარმოებდა. ეს საქმე, თბილისის გარდა, ეხებოდა აგრეთვე საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებში ბანერების დროებით განთავსებას სპონტანური პროტესტის დროს. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა თავისი გადაწყვეტილების დამძლევად მიიჩნია და გამწესრიგებელ სხდომაზე გამარტივებული პროცედურით ის ძალადაკარგულად გამოაცხადა.

4. სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენების კანონიერება

2020 წლის 28 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო საიას სარჩელი, თუმცა მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. მან განაცხადა, რომ დაუშვებელია 48-საათიანი ვადის სრულად

გამოყენება, თუკი პიროვნების ვინაობა დადგინდა დაკავებიდან ერთი საათის განმავლობაში, ან უკვე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და აღარ არსებობს დაკავების აუცილებლობა სამართალდარღვევის განმეორების საფრთხის აღმოსაფხვრელად ანდა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

5. ადმინისტრაციული დაკავების 48-საათიანი ვადის დისკრიმინაციულობა

2020 წლის 29 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საიას კიდევ ერთი სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო ნორმა, რომლის მიხედვითაც, თუკი პირის დაკავების 12-საათიანი ვადის ამოწურვა ემთხვეოდა სასამართლოს არასამუშაო დროს, ის გრძელდებოდა 48 საათის განმავლობაში.

პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებში სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 09:30 საათიდან საღამოს 18:00 საათამდე. ამის მიღმა პერიოდი არასამუშაო დროდ მიიჩნევა. მაგალითად, თუ პირი დააკავეს გამთენიისას, 5 საათზე, მისი დაკავებიდან 12 საათი გადის საღამოს 17:00 საათზე, როდესაც სასამართლო ჯერ კიდევ მუშაობს. მოცემულ სიტუაციაში ადმინისტრაციული დაკავება არ შეიძლება გაგრძელდეს 12 საათზე მეტხანს და უნდა დასრულდეს 17 საათზე. მეორე შემთხვევაში, თუ პირი დააკავეს საღამოს 18 საათზე, მისი დაკავების 12 საათი დასრულდება მეორე დღის 06:00 საათზე. აქედან გამომდინარე, ის დაკავებული უნდა ყოფილიყო ორი დღის განმავლობაში, ვინაიდან დაკავების 12 საათი იწურებოდა არასამუშაო დროს (06:00 საათი სასამართლოსთვის არასამუშაო დროა). ამგვარად, ხსენებული ნორმა ასეთ პირებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა და მათ 2 დღით მეტის გატარება უწევდათ პოლიციის

დროებითი მოთავსების იზოლატორში. საკონსტიტუციო სასამართლომ ამგვარი განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებლად და, შესაბამისად, დისკრიმინაციულად მიიჩნია.

6. საკარანტინო ღონისძიებების კონსტიტუციურობა

2021 წლის 11 თებერვალს საკონსტიტუციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საიას სარჩელი და არაკონსტიტუციურად მიიჩნია შრომით უფლებებზე შეზღუდვის დაწესება „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონით, ვინაიდან ეს იყო ჩვეულებრივი და არა - ორგანული კანონი. კონსტიტუციის 26-ე მუხლი კი იმპერატიულად ითხოვს შრომითი პირობების ორგანული კანონით მოწესრიგებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა გადაადგილების თავისუფლების ნაწილში. მან ე.წ. „კომენდანტის საათი“, რომელიც გულისხმობდა ადამიანების იძულებას, 21:00-დან 05:00 საათამდე დარჩენილიყვნენ სახლში, არ მიიჩნია ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხად და უფლებებში ინტენსიურ ჩარევად. სასამართლოს აზრით, „კომენდანტის საათის“ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მოწესრიგება დასაშვები იყო.

7. პროფესიულ სასწავლებელში ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია

საიას მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ, 2021 წლის 2 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გააუქმა „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში მიღებისას უპირატესობას ანიჭებდა 19-დან 29 წლამდე ასაკის აპლიკანტებს, 29 წელს გადაცილებულ პირებთან შედარებით. იმის მიუხედავად, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ სარჩელზე ჯერ არ უმსჯელია, მინისტრმა დისკრიმინაციის პრობლემა თავად აღმოფხვრა.

8. „ანტისაზოგადოებრივი ქმედების“ ბუნდოვანება

2021 წლის 15 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის ჩანაწერს „ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში“ არასრულწლოვანის ჩართვასთან დაკავშირებით. საია ამტკიცებდა, რომ „ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ იყო ბუნდოვანი ტერმინი და იძლეოდა განსხვავებული შინაარსით მისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამის დასადასტურებლად ორგანიზაციამ წარადგინა უზენაესი სასამართლოს ორი განჩინება. ორივე საქმეში სრულწლოვანმა პირებმა არასრულწლოვანი ყაჩაღობის ჩადენაზე დაიყოლიეს.

ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განჩინება მიიღო 2007 წლის 6 ივლისს. მისი აზრით, არასრულწლოვანის დაყოლიება ყაჩაღობის ჩადენაზე იყო „ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ და ისჯებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლით. მეორე საქმეზე მიღებული განჩინება 2008 წლის 3 იანვრით თარიღდება. ამ საქმეშიც სრულწლოვანმა არასრულწლოვანი პირის დახმარებით ჩაიდინა დანაშაული. ამჯერად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყაჩაღობაზე არასრულწლოვანის დაყოლიება არ მიიჩნია „ანტისაზოგადოებრივ ქმედებად“. მან განმარტა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის ჩანაწერი „ანტისაზოგადოებრივი ქმედება“ გულისხმობდა არასრულწლოვანის ჩართვას ისეთ ქმედებაში, რომელიც არ განეკუთვნება დანაშაულის კატეგორიას. ამგვარი ქმედება შეიძლება იყოს, მაგალითად, არასრულწლოვანის გალოთება.

საიას პოზიცია ნაწილობრივ გაიზიარა საკონსტიტუციო სასამართლომ. მან შეისწავლა უზენაესი სასამართლოს აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა და განაცხადა, რომ არ იყო განჭვრეტადი, დანაშაულის ჩადენაზე არასრულწლოვანის დაყოლიება მიიჩნეოდა თუ არა „ანტისაზოგადოებრივ ქმედებად“. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) დარღვევა.

სტრასბურგული სამართალწარმოება საერთაშორისო მექანიზმებში

საერთაშორისო მექანიზმებში საია აწარმოებს 114 საქმეს როგორც სამართალწარმოების, ისე აღსრულების ეტაპებზე. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2 ახალი საქმე წარადგინა, ხოლო 3 მოიგო.

პარალელურად, საია აგრძელებს ევროპულ სასამართლოსთან აქტიურ კომუნიკაციას წარმოებაში არსებულ საქმეებთან დაკავშირებით. 1 საქმეზე ორგანიზაციამ წარადგინა მომჩივნის დამატებითი სამართლებრივი არგუმენტაცია საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. ასევე, 1 საქმეზე სასამართლოს ეცნობა მომჩივანთა პოზიცია მეგობრული მორიგების შესაძლებლობის თაობაზე. საქმე შეეხებოდა რუსეთის მიერ ბორდერიზაციის შედეგად დაზარალებულთა ინტერესებს. დამატებით, ორგანიზაციამ დაიწყო ევროპულ სასამართლოში საიას დაცვის ქვეშ მყოფი 2008 წლის ომის შედეგად დაზარალებული 350-ზე მეტი პირის მონაცემების განახლება, ახალი რწმუნებულების ფორმებზე ხელმოწერისა და მომჩივანთა მდგომარეობის თაობაზე ევროპული სასამართლოს ინფორმირების მიზნებისთვის.

ახალი საქმეები

საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 2019 წლის 20-21 ივნისს ანტისაოკუპაციო აქციის დაშლის დროს დაზარალებული ჟურნალისტებისა და დემონსტრანტების სახელით 2 ახალი საჩივარი *(ბაღაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ; ქურდოვანიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ)* შეიტანა. საჩივრები სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალის უკანონობასა და არაპროპორციულობას, დაკავებისა და შემდგომ პერიოდში არასათანადო მოპყრობას, ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლასა და გამოძიების არაეფექტიანობას შეეხება. დამატებით, საია დავობს აქტიური სპეციალური საშუალებების საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით. წარდგენილ საჩივრებში საია ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება - მხოლოდ მედიის წარმომადგენლების შემთხვევაში), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება - მხოლოდ დემონსტრანტების შემთხვევაში), და მე-13 (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება) მუხლების დარღვევას ასაბუთებს.

ამ საჩივრების განხილვა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საანგარიშო პერიოდშივე დაიწყო. იმავდროულად, ორგანიზაციამ სასამართლოს წარუდგინა მომჩივნების პოზიცია მეგობრულ მორიგებასთან დაკავშირებით.

მომჩივანთა ინტერესებს საია „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ ცენტრთან“ (EHRAC) ერთად წარმოადგენს.

მოგებული საქმეები

- **ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №41674/10)**

- **კალანდია საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №57255/10)**

- **შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №43854/12)**

ამ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 3 გადაწყვეტილება მიიღო, რომელთა საფუძველზეც დადგინდა საქართველოს პასუხისმგებლობა მომჩივანთა მიმართ ევროპული კონვენციის მე-6 (1) მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დარღვევის გამო.

მომჩივნები სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიას/მოძრაობას წარმოადგენდნენ და 2009 წელს ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ მასობრივ საპროტესტო აქციებში აქტიურად მონაწილეობდნენ. ისინი დავობდნენ ცეცხლსასროლი იარაღის და/ან ნარკოტიკული საშუალებების ჩადებისა და შემდგომ განხორციელებული მართლმსაჯულების გამო. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების თანახმად: მომჩივანთა ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის სიზუსტე და სანდოობა ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ არ გამოიკვლიეს. ამასთან, მომჩივნებს, იმ დროს მოქმედი საკანონმდებლო ჩანაწერის შესაბამისად, არ მიეცათ შესაძლებლობა, ჩხრეკის დროს ესარგებლათ მოწმეების დასწრების უფლებით. დამატებით, ევროპულმა სასამართლომ სამივე გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ საქმეებში მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო იმ პოლიციელთა ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებასა და ჩხრეკაში, იმავდროულად, იძიებდნენ მათ საქმეებს. შესაბამისად, ისინი დაინტერესებულნი იყვნენ საქმის შედეგით. ამასთან, მათი ჩვენებები არ დასტურდებოდა სხვა არცერთი სანდო და ნეიტრალური მტკიცებულებით. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივანთა არგუმენტაცია პოლიციელთა მხრიდან უკანონო ნივთების ჩადების თაობაზე საფუძვლიანად არ შეისწავლეს. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ იყო საკმარისად ძლიერი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა თითოეული მომჩივნისთვის 3,600 ევროს ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

აღსრულების მექანიზმების გამოყენება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულება

საანგარიშო პერიოდში საიამ საქართველოს პარლამენტს ალტერნატიული ანგარიშები წარუდგინა, რომლებშიც შეფასებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და განჩინებების აღსრულების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებები. ანგარიშები შეეხება *იდენტობის ჯგუფისა* და *ცინცაბაძის ჯგუფის* საქმეების აღსრულების მდგომარეობას. ანალიზის შედეგად, პრობლემურ საკითხთა შორის გამოიკვეთა: კრიმინალური სუბკულტურის არსებობა პენიტენციურ დაწესებულებებში; არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების, მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატის კუთხით არსებული ხარვეზები; ლგბტ+ თემისა და რელიგიური უმცირესობების მოწყვლადი უფლებრივი მდგომარეობა; შსს-ში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფის არარსებობა; ამგვარი დანაშაულების გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრობლემა და საქართ-

ველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი მუხლის არარსებობა.

საიამ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების თაობაზე ანგარიში ასევე წარუდგინა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, როგორც შესაბამის ზედამხედველ საერთაშორისო ორგანოს. მოსაზრებები შეეხებოდა *იდენტობის ჯგუფისა* და *როსტომაშვილის ჯგუფის საქმეების* აღსრულებას. როსტომაშვილის ჯგუფის საქმეები მოიცავს ევროპული კონვენციის მე-6(1) მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) დარღვევასთან დაკავშირებულ ფაქტებს, რომლებზეც სასამართლომ საქართველოს ხელისუფლებას დარღვევა დაუდგინა. ამ საქმეებზე საიამ ასევე მოითხოვა, რომ კომიტეტმა, სტანდარტულის ნაცვლად, გაძლიერებული ზედამხედველობის მექანიზმი გამოიყენოს. როსტომაშვილის ჯგუფის საქმეების აღსრულების თაობაზე საიამ მინისტრთა კომიტეტს მიმართა ორგანიზაციასთან ერთად - „საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (IPHR).

გამოცემები

საანგარიშო პერიოდში სამართლებრივი დახმარების პროგრამამ 6 დოკუმენტი/ანგარიში მოამზადა:

საარჩევნო დავების ანალიზი

ანგარიშში შეფასებულია 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებული დავები როგორც წინასაარჩევნო, ისე კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში. დოკუმენტში მოცემულია მათი განხილვის პროცესში გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები, ასევე გაანალიზებულია საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სასამართლოების გადაწყვეტილებებში ასახული პრობლემური პრაქტიკა. ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბარიერების აღმოფხვრას და ზოგადი მიდგომების მიმართულებით არსებულ გამოწვევებთან გამკლავებას.

სტრატეგიული სამართალწარმოება მსხვილი ჰიდროპროექტების მშენებლობის წინააღმდეგ



ბოლო წლებში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში არაერთი დიდი ჰესის მშენებლობა დაანონსდა. ნაწილი უკვე აშენდა. ზოგიერთის განხორციელება ახლო მომავალში იგეგმება. მსხვილი ჰიდროპროექტები განსაკუთრებული სიმძაფრით აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე, ცვლის მათ საცხოვრებელ პირობებს, მკვეთრ და გარდაუვალ გავლენას ახდენს გარემოზე. სამშენებლო პროექტების ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ ნებართვების გაცემის პროცესი ადგილობრივთა არასათანადო ჩართულობით, პროცედურული და შინაარსობრივი ხარვეზებით მიმდინარეობს, რაც საზოგადოების სამართლიან პროტესტს იწვევს. საია 2014 წლიდან იცავს მოქალაქეთა ინტერესებს ჰესების მშენებლობის წინააღმდეგ. დოკუმენტი მიმოიხილავს ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ 4 საქმეს და იმ პრობლემებს, რომლებიც სამართალწარმოების პროცესში იკვეთება.

ექსპერტიზის ჩატარების პრობლემა სამედიცინო დავების წარმოებისას

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წლების განმავლობაში სამედიცინო შინაარსის არაერთი საქმე აწარმოვა სასამართლოში. მოცემული დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს იმ ძირითად პრობლემებს, რომლებიც სამედიცინო დავების დროს წარმოიშობა და დაზარალებულ პირებს ხშირად ხელს უშლის საკუთარი უფლებების სრულყოფილად რეალიზებაში.

საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) - სასამართლოს გადაწყვეტილების მიმოხილვა

2021 წლის 21 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II). ის შეეხება 2008 წლის აგვისტოში რუსეთსა და საქართველოს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. საიას მიერ მომზადებული დოკუმენტი მოიცავს ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შინაარსობრივი ასპექტებისა და მასთან დაკავშირებით ხშირად დასმული კითხვების მიმოხილვას.

ადვოკატთა სახელმძღვანელო



საანგარიშო პერიოდში საიამ მოამზადა ადვოკატთა სახელმძღვანელო „ეფექტიანი გამოძიება სამართალდამცავთა მიერ ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე - ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილი წარმოება ევროპულ სასამართლოში საჩივრის გაძლიერების მიზნებისთვის.“ სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ ადვოკატებისთვის, რომლებიც დაზარალებულთა ინტერესებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით წარმოადგენენ. დოკუმენტში მიმოხილულია ის ზოგადი სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მიერ საქმის ეფექტიანი გამოძი-



ება, ასევე მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც ადვოკატებს ეროვნულ დონეზე საქმის სრულყოფილად წარმოებაში დაეხმარება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა



საქართველოში დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი მძიმე მემკვიდრეობაა, რომლის გამოყენებითაც ხდება ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა. საიას მიერ მომზადებული დოკუმენტი მიმოიხილავს რეფორმის უშედეგო მცდელობებს და ორგანიზაციის სტრატეგიული სამართალწარმოების მოსალოდნელ და უკვე დამდგარ შედეგებს.

წლებია, საია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეფორმას ითხოვს. კოდექსის მოქმედებით გამოწვეული დარღვევები დოკუმენტირებულია საიას, სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე სახალხო დამცველის ანგარიშებში. სახელმწიფო, მართალია, აღიარებს რეფორმის საჭიროებას და დეკლარაციულ დონეზე ინარჩუნებს მისი გატარების მზაობას, თუმცა დღემდე, წარუმატებელი მცდელობების გარდა, ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.

საიას სტრატეგიულმა სამართალწარმოებამ კიდევ უფრო მეტად გამოკვეთა კოდექსის ფუნდამენტური ხარვეზები. საკონსტიტუციო სასამართლოში მოგებულმა საქმეებმა მნიშვნელოვნად გააფართოვა ადამიანის უფლებებით დაცული სფეროები. მათ შორის:

- გაუმჯობესდა სამართალდამრღვევად მიჩნეული პირის საპროცესო უფლებები - შესაძლებელი გახდა სააპელაციო სასამართლოში ყველა იმ სამართალდარღვევაზე დავა, რომელიც სახდელის სახედ პატიმრობას ითვალისწინებს;
- განისაზღვრა სააპელაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის მკაფიო კრიტერიუმები;
- სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების 10-დღიანი ვადის ათვლა დადგინდა დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან;
- გაუქმდა ადმინისტრაციული დაკავების დისკრიმინაციული, 48-საათიანი მაქსიმალური ვადა. ასევე, განიმარტა, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე ადმინისტრაციული წესით დაკავების მაქსიმალური ვადის გამოყენება უკანონოა და დაკავების საფუძვლის ამოწურვისთანავე პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს;
- სათანადო ლიცენზიის გარეშე წიაღისეულით სარგებლობისთვის სამართალდამრღვევად მიჩნეულ პირს სამართალდარღვევის იარაღი უპირობოდ აღარ ჩამოერთმევა. საქმის განმხილველ მოსამართლეს მიეცა შესაძლებლობა, ფაქტობრივი მოცემულობების გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საკითხი თავად გადაწყვიტოს;
- დასაშვები გახდა კერძო საკუთრების ფასადზე, მესაკუთრის მიერ ან მისი ნებართვით, ბანერების, ლოზუნგებისა და პლაკატების დროებითი განთავსება სპონტანური აქციის მსვლელობისას.

აღსანიშნავია, რომ საიას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მძიმე სამართალდარღვევები პირველად გაიმიჯნა სხვა გადაცდომებისგან. მძიმე სამართალდარღვევად სასამართლომ იმგვარი გადაცდომა მიიჩნია, რომლისთვისაც სანქციის სახით პატიმრობაა გათვალისწინებული. თუმცა, არ გამორიცხა, რომ, ადმინისტრაციული პატიმრობის მსგავსად, ამ კოდექსით განსაზღვრული სხვა სანქციაც აღწევდეს უფლების შეზღუდვის ინტენსივობის იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია შემადგენლობის მძიმე სამართალდარღვევად მისაჩნევად. საკონსტიტუციო სასამართლოს პროგრესული გადაწყვეტილება იძლევა საფუძველს, რომ ამ კუთხით რეფორმა სწორედ მოცემულ პრინციპს დაეფუძნოს და მძიმე სამართალდარღვევებისთვის სათანადო საპროცესო გარანტიები დადგინდეს.

4

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საიამ გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიიღო, ჯამში, 4,987,278.55 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 106 თანამშრომელი, მათ შორის 43 - რეგიონებში. მათი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 2,333,896.95 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 766 პირზე - სულ 693,931.09 ლარი.

კერძო პირების მომსახურების ანაზღაურების, ხელფასებისა და ჰონორარების საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 621,168.33 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საიამ შეიძინა 87,117.35 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 26,690.00 ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის.

ამავე პერიოდში შეძენილია 21,081.45 ლარის ღირებულების საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი, მათ შორის, რეგიონებისთვის - 6,583.20 ლარის ღირებულების.

საიას მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის ჩასატარებლად, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 16,254.60 ლარი.

ორგანიზაციის თანამშრომლების, წევრებისა და მოწვეული სტუმრების მგზავრობის ხარჯებმა შეადგინა 184,885.26 ლარი, ოფისების ქირამ - 142,595.12 ლარი, ხოლო კავშირგაბმულობის ხარჯმა - 37,205.86 ლარი, მათ შორის რეგიონ-ებში - 8,575.01 ლარი.

საიას მიერ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემულმა ქვეგრანტებმა შეადგინა 136,073.43 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 3,891,299.57 ლარი, რომელიც წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:



საიას მმართველობის ორგანოები

2021 წლის 1-ლი ნოემბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ნიკოლოზ სიმონიშვილი - თავმჯდომარე
გვანცა საკანელაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე
თამარ აბაზაძე
ქეთევან აბაშიძე
თაია არაბული
ზვიად არძენაძე
ნინო ბაღაშვილი
ირენა გაბუნია
თამარ გვარამაძე
დიმიტრი გუგუნავა
რატი თინიკაშვილი
ნათია კაპანაძე
კახა კოჟორიძე
თეონა მაჭარაშვილი
ვახტანგ მენაბდე
სულხან სალაძე
ნონა ქურდოვანიძე
თამარ ღვალაძე
მიხეილ ღოღაძე
მერი ჩაჩავა
მიხეილ ჯახუა

სარევიზიო კომისია

თამარ სარაჯიშვილი
მალხაზ ვეფხვაძე
ნინო ბიბილური
ნინო სამადაშვილი
ანა კოტეტიშვილი

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი - პაატა დიასამიძე
ქუთაისის ფილიალი - ზაალ გორგიძე
რუსთავის ოფისი - ნათია ქოქიაშვილი
გორის ოფისი - ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი - მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი - თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი - სერგო ისაშვილი
ზუგდიდის ოფისი - კესარია ჩახაია

დირექტორთა საბჭო

ნიკოლოზ სიმონიშვილი - თავმჯდომარე
მერაბ ქართველიშვილი - ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი
ვახტანგ მენაბდე - დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი
ნონა ქურდოვანიძე - სამართლებრივი დახმარების პროგრამის დირექტორი
ნინო ჩიხლაძე - ადმინისტრაციული დირექტორი

დონორები

Ministry of Foreign Affairs of the Netherlands

USAID
ამერიკელი ხალხისგან

SIGRID RAUSING TRUST

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

ღია საზოგადოების ფონდი

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

Brot für die Welt
Bread for the World – Protestant Development Service

UK Government

Norwegian Ministry of Foreign Affairs

EQUAL RIGHTS TRUST

EUROPEAN ENDOWMENT FOR DEMOCRACY

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

■ თბილისი

ჯ.კახიძის ქ. №15, 0102

ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353

ელფოსტა: gyla@gyla.ge

■ ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. №11, 4600

ტელ: + (995 431) 241192

ელფოსტა: kutaisi@gyla.ge

■ აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. №89, 6000

ტელ: + (995 422) 276668,

ელფოსტა: batumi@gyla.ge

■ გორის ოფისი

სტალინის ქ. №19, 1400

ტელ: + (995 370) 272646

ელფოსტა: gori@gyla.ge

■ რუსთავის ოფისი

კოსტავას ქ. №15 ა/5, 3700

ტელ: + (995 341) 255337

ელფოსტა: rustavi@gyla.ge

■ თელავის ოფისი

26 მაისის ქ. №13, 2200

ტელ: + (995 350) 271371

ელფოსტა: telavi@gyla.ge

■ ოზურგეთის ოფისი

გაბრ. ეპისკოპოსის ქ. №25/10, 3500

ტელ: + (995 496) 273138

ელფოსტა: ozurgeti@gyla.ge

■ დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. №29, 1810

ტელ: + (995 346) 221554

ელფოსტა: dusheti@gyla.ge

■ ზუგდიდის ოფისი

ლაღიძის ქ. №3 (ყოფილი

თაბუკაშვილის ქ. №21)

ტელ: + (995 415) 227770

ელფოსტა: zugdidi@gyla.ge